


19121

K

1

„ცოდნას“ გამოცემა № 21

მსკ



# თაჳთნობა

ბეელი და ახალი შენიშვნები

ნ. ნიკოლაძისა

793546



თბილისი

ელექტრომბეჭდავი თ. გრ. დიასამიძისა.

1905.

681

308(52)  
5631

წიგნის მაღაზიის „ცოდნა“-ს გამოცემა № 21.

9(11)  
ი 243

# ი ა ჯ ო ნ ი ა

3546  
R 19121  
1

ძველი და ახალი შენიშვნები

ნ. ნიჟოლაძისა



ელექტრომეკტაფი. ლ. გო. დიასამიძისა.  
1905.

46.





Дозволено цензурою. Тифлисъ, 29 ноября 1904 г.



## წინასიტყვაობა.

ბევრი შთხვას და მირჩევს — ის წერილი გადა-  
მოვბეჭდო ეხლა „იანონიის ბრძოლაზე ჩინეთთან“,  
რომელიც სწორეთ ამ ათი წლის წინეთ „მომ-  
ბის“ უცხოეთის მიმოხილვისთვის დაწერე (1894,  
№ 9). იანონიის გამოლაშქრებას რუსეთზე თურმე  
ჩვენებური მკითხველის უურადღება მაუქცევია ეხლა  
ამ ძველ ნაწერისთვის, რომელმაც თავის დროზე —  
როგორც სხვა ჩემმა შრომამ — უდაბნოში მღაღაღე-  
ბლის ხმასავით ჩააარა. ვასრულებ ამ სურვილს და  
შეუცვლელათ ვაბეჭდვინებ ხელახლავ ამ ძველ შე-  
ნიშვნებს, იმ იმედით, რომ მათ, როგორც ჩინე-  
ბულათ დავიწეებულთ, იქნება ახალი ხილის გემო  
მიეცეს დღეს, როცა ეველას ასე ეხადისება იანო-  
ნიის შესახებ ამბების კითხვა.

„შეუცვლელათ ვაბეჭდვინებ“ მეოქი. ამ თქმას  
ორი რამ უნდა დაუმატო: ძველს ნაწერში ვაჟსებ  
ეხლა ერთს მტარე ადგილს ისეთს, რომლის გა-  
მოტოვება იმ დროს მწერლისგან დამოუკიდებელმა  
გარემომებამ გვაიძულა. დანარჩენი სიტყვა-სიტყვით  
ისე იბეჭდება, როგორც ამ ათის წლის წინ, „მო-



ამბეში“. მეორე დამატება იმის სახსრად, თუკა-  
 ზოდენათ შეიცვალა, არა თუ გარემოება, თვით ერ-  
 თი და იმავე სიტუაციების მნიშვნელობა ამ უკანას-  
 კნელ ათის წლის განმავლობაში. ამ ცვლილების გა-  
 ნუმარტებლათ მეოთხედი ცხდათ ვერ დაინახავს  
 ვერც ესდანდელ ამის მიზეზს, ვერც მის შე-  
 დგას. ამიტომ, ძველ ნაწერის გადაკითხვის შემ-  
 დგ სავსებით გახდა ახალ განმარტების დაწერა  
 იმის შესახებ, თუ რა და რა ნაირი ცვლილება მო-  
 ხდა 1894 წლის აქეთ იმ სიტუაციების, სახელების  
 და აზრების მნიშვნელობაში, რომელზედაც ჩემს  
 ძველ ნაწერში იყო მსჯელობა. ამ ახალ განმარ-  
 ტების გაცნობა დაგარწმუნებთ, რომ დღეს მეცნი-  
 ერებისათვის აღარაფერია უცნარი, უცაბედი, წარ-  
 მოუდგენელი, წინათვე გაუზომავი თანამედროვე  
 ისტორიის მსგავსებაში, ისე როგორც მთელს ბუნე-  
 რაში. უცაბედათ ეს უგეგმაფერი მარტო იმას მიაჩ-  
 ნია, ვინც ამ დროის მეცნიერების იარაღს არ იც-  
 ნობს, ვერ ხმარობს და ვარსკვლავთ-მრიცხავის  
 კი თავს არ ანებებს. აი ამათზეა ძველათ ნათქვა-  
 მი: „რეგენი საქმეს წახდენს, ფათერაკს დააბრა-  
 ჟებს“.



## 1. იაპონიის ბრძოლა ჩინეთთან

(1894)

— ნეტა რა მეჩინეთება, — იფიქრებს მკითხველი, — სად იაპონია და სად ჩვენო? აბა რა მენაღვლება, თუ სადღაც, ცხრა მთას გადაღმა, რაღაც ომი ამტყდარაო!

რაკი ამ ბრძოლას მთელმა განათლებულმა ქვეყანამ მიაქცია ყურადღება, ნურც შენ დაიზარებ, ჩემო კეთილო, მისი ამბავი და მნიშვნელობა გამოიკვლიო. დარწმუნებული ბრძანდებოდე, ტყუილ-უბრალოთ როდი შეაჩერდებოდა ქვეყანა ამ ბრძოლას, თუ არ გრძნობდეს, რომ იმას მის საკუთარ ბედზედაც პირდაპირი გავლენა ექნება ადრე თუ გვიან. ქვეყანა მოცლილი როდია, რომ უმნიშვნელო საქმეებზე მსჯელობდეს... ნურც იმას იფიქრებ, ვითომ მართლა მოშორებული იყოს შენზე ან ჩვენზე ამ ომის ასპარეზი — კორეა. ეს სამეფო რუსეთის მოსაზღვრე გახლავს: მასა და რუსეთს შუა ერთი პაწია. მდინარის, ტუმენ-წიანის, მეტი არა მოიძებნება-რა. ყველა დარწმუნებუ



თარგმანი  
გაბრიელ

მეც

ლია, რომ რუსეთს ამ სამეფოში დიდი ინტერესი აქვს, მერე ისეთი, რომლის დაცვა, იქნება, უომოთ არც კი მოხერხდესო. და როგორც ჩვენს მხარეში ბრძოლა რუსეთისა ვისმესთან ყოველთვის ციმბირის ბედზე და ცხოვრებაზე ღრმა კვალს აჩნევს, ისე ციმბირის საზღვრებზე რუსეთის უცხოეთთან შეტაკება, უეჭველია, ჩვენზედაც დიდ გავლენას იქონიებს. თუ კი იმისთანა უდავო და უბრალო საქმეს, როგორც ციმბირის რკინის გზის კეთებაა, ის შედეგი მოჰყვა ჩვენთვის, რომ თითქო ყოველგვარი შენება ათი წლის ვადით შესწყდა და გადაიღო ჩვენს მხარეში, ნუ თუ მოსალოდნელი არ უნდა იყოს, რომ იმ მხარეში გამართულ ომს უფრო პირდაპირი, უფრო ძლიერი გავლენა ექნება ჩვენზე?.. აი, ამიტომაც სასარგებლოა გავიგოთ — რა დავიდარაბაა ატეხილი იმ მხარეში და რას ნიშნავს იქიდან მიღებული ამბები?

ციმბირს სამხრეთით და რუსის საშუალო აზიას — აღმოსავლეთით ერთი უზარმაზარი, თვალ-უწვდენელი ქვეყანა აკრავს, ჩინეთი. აუარებელი, უთვალავი ხალხი ცხოვრობს ამ ქვეყანაში, თითქმის ოთხჯერ უმრავლესი, ვიდრე მთელი რუსეთის მცხოვრებლების რიცხვი. უთ-



ვალავი მეთქი, რადგანაც მისი ნამდვილი რად-  
დენობა არავინ იცის. საზოგადოთ კი ის ანგე-  
რიშია მიღებული, ვითომ ჩინეთში ოთხასი მი-  
ლიონი ადამიანი ცხოვრობსო, ან თითქმის  
ორჯელ უფრო მეტი, ვიდრე მთელს ევროპა-  
ში. ჩინეთი თორმეტი პროვინციისაგან შესდ-  
გება, რომელთაგან თვითეული მთელ გერმა-  
ნიას ან საფრანგეთს უდრის სივრცითაც და  
მცხოვრებლების რიცხვითაც.

ეს უზარ-მაზარი სახელმწიფო, თურმე, დღე-  
საც იმ წესით და წყობალებით ცხოვრობს, იმ  
იარაღით მუშაობს, იმ ზნეს და აზრებს ადგია,  
როგორც ამ ასი, ათასი, ან ათი-ათასი წლის  
წინათ. ხალხი მშვენიერი თვისებისაა: მეურნე,  
მშრომელი, წყნარი, მორჩილი, უჩხუბარი, უწ-  
ყინარი, სხვა ყველა ხალხებზე უფრო ზომიე-  
რი სმა და ჭამაში და სხვ. და სხვ. საუბედუ-  
როთ, ამ ჩინებულ ხალხს თითქმის არავითარი  
მმართველობა და მართებლობა არ ჰყოლია  
თურმე. თვითეულ მხარეს ამ ვითომ-სახელმწი-  
ფოსას მართავს „უფროსი“, მანდარინი, რომ-  
ლის დანიშნულება მარტო ბეგრის და ბაჟის  
მოკრეფაა. არავინ იცის—ვინ რამდენს იხდის,  
ვინ რამდენს ჰბოჭავს, არც ის, თუ სად მიდის





შეგროვებული გადასახადი. დაუჯერებელი საქმეა, თუმცა ეს სრული ჭეშმარიტება გახლავს, რომ ჩინეთის მმართველობას, აი ამ ოთხას მილიონ ადამიანის წარმომადგენელს, სულ მარტო **ასი მილიონი ფრანკი** შემოუღდის წელიწადში, ისიც უფრო ზღვის-პირა საბაჟოებიდან. თითქმის არავითარი კავშირი არ არსებობს არც სხვა-და-სხვა პროვინციებს შუა, არც მათსა და ტახტს შუა. თვითეული ქოროზი (НАМЪСТНИКЪ) თითქმის სრულიათ დამოუკიდებელი მთავარია თავის პროვინციისა. ჩინეთის იმპერატორის გავლენა და უფლება უფრო ფიქტიურია, ვინემ ნამდვილი.

უწინდელ დროში ჩინეთი ყველას მართლა ძლიერ და შეურყვეველ სამეფოთ მიაჩნდა. 1859—1860-ში ინგლისისა და საფრანგეთის შეერთებულმა ფლოტმა მოულოდნელათ მიაყენა ჯარი ჩინეთის სატახტო ქალაქს პეკინგს, რომელიც მარტო სამასი ვერსით არის დაშორებული ზღვის პირისაგან. ევროპელმა ჯარმა მეფის სასახლეც დაიჭირა და შიგ მსწრაფლათ დაადგინა მორიგების პირობა ჩინეთის მთავრობასთან, რომ მსწრაფლათვე დაბრუნება შესძლებოდა. მაშინ ყველას ეგონა, რომ მარ-



ტო მოულოდნელობის წყალობით გაიმარჯვა ევროპაშაო, თორემ ჩინეთს რომ სცოდნოდა ან დასცლოდა, ჯარს ან ხალხს მილიონობით შეჰკრებდა და თავს დაასხამდა ევროპელებსაო. ოც და ხუთის წლის შემდეგ საფრანგეთმა დაიჭირა ჩინეთის სამხრეთ საზღვარზე ტონკინგი, ცალკე სამთავრო, რომელშიაც ოციოდე მილიონი ხალხი ცხოვრობს და რომელიც ჩინეთს ექვემდებარებოდა. ჩინეთმა საფრანგეთს წინაამდგეგობა გაუწია და ომიც გაუმართა. მაგრამ საფრანგეთს დიდი ძალის მოხმარება არც კი დასჭირებია მის მოსაგერებლათ და დასამშვიდებლათ. რამდენიმე ბატალიონი ეყო ჩინეთის ჯარის დასამარცხებლათ და ოც მილიონიან სამთავროს შესაძენათ. არც ამ გარემოებათ აუხილა ქვეყანას თვალი ჩინეთის სისუსტის შესახებ. ყველას ეგონა, ტონკინგი (ან ტონკინი) ალბათ დიდი ხანია მოშორებული და გამოტირებული ჰქონია ჩინეთს, ასე ადვილათ რომ ჩამოართვესო.

ამ უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ხელს აფარებდა ჩინეთს ინგლისი, რომლის მწერლობა და დიპლომატია განგებ აზვიადებდა ჩინეთის სახელ-დიდებას. მაგრამ ჩინეთი ცოტ-ცოტა



და ნელ-ნელა შეისწავლეს მისმა მახლობელმა მეზობლებმა: რუსეთმა და საფრანგეთმა. მათმა მეცნიერებმა და აფიცრებმა გადაიარეს კილით-კიდემდე ეს თვალუწვდენელი სამეფო. მათი აღწერილობიდან ის საზოგადო აზრი გამოჰყავს კაცს, რომ ჩინეთი მართლა უთვალავი ხალხითაა დასახლებული, რომ მასში ტევა აღარაა, მაგრამ ეს სამეფო, თან, სრულიად მოუწყობელი, უთავბოლო, უწყესო ქვეყანაა. მას არც ჯარი ჰყავს, არც გზები აქვს, არც რიგი, არც რამე აცხია იმ სიკეთისა, რომელიც კაცობრიობისთვის საზოგადო ცხოვრებას და მმართველს მიუნიჭებია. ეს ურიცხვი ხალხი, ეს უზარმაზარი სამეფო უფრო ცხვრის ფარას ემსგავსება, ვინემ ადამიანების გროვასო. აქედან, რასაკვირველია, ნელ-ნელა ის აზრი დაიბადა და გავრცელდა მეზობლებში, რომ ეს სამეფო მკვდარი ან მომაკვდავი ყოფილაო და მისი ნაშთიდან ჩვენთვის აბა რა და რომელია უმჯობესი და ან რომელი გვერგებაო?

ამ გვარად ჩინეთი აზიაში სწორეთ იმნაირსავე „ავათმყოფს“ წარმოგვიდგენს და იმნაირსავე „აღმოსავლეთურ კითხვას“ შეადგენს, როგორც ევროპაში—ოსმალეთი.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



მეც

შედარების სრულ მსგავსებისთვის საჭიროა  
ცოტაოდნათ საგანს გადაუხვიოთ.

რუსეთი დიდი და ძლიერი სახელმწიფოა,  
რომელსაც დედა მიწაზე, ინგლისს გარდა,  
ტოლი არა ჰყავს და რომელსაც, ინგლისივით,  
მეექვსედი ნაწილი უჭირავს ხმელეთისა. საუ-  
ბედუროთ, ეს დიდი და ძლიერი სამეფო ყო-  
ველ-მხრივ ხელ-შეკრულია იმ გარემოებით, რომ  
იმას არსაით გზა არ აქვს „**გაშლილ ზღვი-  
საკენ**“. აიღეთ მისი რუკა, თვალი შემოაფ-  
ლეთ მის საზღვრებს და ნახავთ, რომ აღმო-  
სავლეთით მის მოსაზღვრე იაპონიის ზღვას მარ-  
ტო ერთი ხეირიანი სრუტე აქვს გაშლილ ოკეა-  
ნესკენ, იაპონიას და კორეას შუა, და ეს სრუ-  
ტეც ჩინეთს და იაპონიას უჭირავს. სამხრეთით  
მის მოსაზღვრე შავი ზღვიდან მარტო ერთი  
სრუტე მოიძიება, ბოსფორი (სტამბოლთან), და  
ამისი კლიტეც სხვას, ოსმალეთს, აბარია. და-  
სავლეთით, ბალტიის ზღვის კარი და კლიტე  
დანიას, შვეციას და გერმანიას აქვთ დაკავებუ-  
ლი. მარტო ერთ მის ზღვას, თეთრ ზღვას, არ  
ადევს ვიწრო კლიტე-ბოქლომი: ის ფართოთ  
ერთვის ჩრდილოეთის ოკეანეს. მაგრამ თვით  
ეს ზღვა და ოკეანე ერთიანათ შეკრულია ყი-



ნულით წელიწადში ცხრა ან ათი თვის განმავლობაში. ამას გარდა თვით თეთრი ზღვა იმდენათ მოშორებულია რუსეთის უმეტეს ნაწილზე, რომ მით ამ ორი-სამი თვის განმავლობაშიაც მარტო ჩრდილოეთის უდაბნოს მცირედი ნაწილი თუ ისარგებლებს, მეტი ვერავინ. მაშასადამე, როგორც ხმელეთით, ისე ზღვითაც, რუსეთს ერთი ფუთი საქონლის არც გაგზავნა, არც მიღება არ შეუძლია უიმისოდ, რომ გზაზე უცხო სახელმწიფო არ დაუხვდეს, ხარკის ამღები მშვიდობიანობის დროს და გზის შემკვრელი ომიანობისას. ამის მიზეზით რუსეთის ეკონომიური ცხოვრება და რუსეთის აღებ-მიცემობა ჯერაც უცხოეთის მძლავრ გავლენის ქვეშ, თითქმის უცხოეთის მონობაში იმყოფება. რუსეთი უცხოეთის ხარკის მძლეველი იქნება, სანამ საკუთარ კარს არ გაიხსნის, საკუთარ გზას არ იშოვნის გაშლილ ოკეანესკენ, ისე, რომ პირდაპირი და დამოუკიდებელი აღებ-მიცემობა გამართოს, ვისთანაც ჰსურს და ხელს მისცემს. დღეს კი რაც იმას თავის საკვებათ აზიიდან თუ ამერიკიდან საქონელი უნდა მოსდიოდეს (მაგალითად, კოლონიური საქონელი, ურომლოთაც გაძლება არ შეუძლიან), სხვისი საშუა-



ლებით ან შუამდგომლობით მოსდის, და არა პირდაპირ. რუსეთი ამ საქონელში შუა-მდგომელ ევროპას თითქმის იმოდენა ხარკს უხდის, თუ არა უმეტესს, რამდენიც თვით ეს საქონელი ღირს... ეს დამოკიდებულება ერთი უმთავრესი მიზეზთაგანია რუსეთის სიღარიბისა. ყოვლათ შეუძლებელია, რომ ხეირიან ეკონომიურ მდგომარეობას ეღირსოს ის სახელმწიფო, რომელიც ამ გვარად უგზო-უკვლოა.

ეს ნაკლი ჩინებულათ ესმოდა ყველა შორ-გამჭვრეტ მეთაურს რუსეთის ისტორიისას— ივანე მრისხანეს, პეტრე დიდს, ეკატერინე მეორეს, განსაკუთრებით პოტემკინს. მთელ რუსეთის ისტორიას, ამ სამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში, ნათლათ აჩნია ეს ერთი უმთავრესი ხასიათი: ნიადაგი ცდა ზღვის-პირების და ზღვის სრუტეების შეძენისა. ეს ისეთი ბუნებრივი საჭიროებაა, რომ თითქმის ინსტიქტიურათ მიიზიდვის რუსეთი ამ მიზნისკენ. ათასი მისი უთავ-ბოლო ომებიდან, განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნეში და ზოგი ეხლანდელშიაც, მარტო ის ომები გამოვიდა სახეირო, ის ომები ჩაიბეჭდა ერის მეხსიერებაში, რომელნიც აი ამ ისტორიულ და ეკონომიურ საჭიროებით იყვნენ გამოწვეულნი.





მკ

დღეს რუსეთი ციმბირის მოწყობას შეუდგა. ის იქ ეხლა რკინის გზას აკეთებს იმისთანას, რომელმაც მთელი ციმბირი უნდა გადასჭრას კიდით კიდემდე, ათი ათასი ვერსტის სიგრძეზე. უეჭველია, ეს რკინის გზა, მისი გათავების შემდეგვე, გავლენას იქონიებს არამც თუ მარტო ციმბირის ეკონომიურ მდგომარეობაზე, არამედ თვით შორე-აღმოსავლეთის მისვლა-მოსვლაზე და აღებ-მიცემობაზედაც. დიდ მოძრაობას მოახდენს ეს რკინის გზა განსაკუთრებით მით, რომ ევროპას დაუახლოვებს წყნარ ოკეანეს ნაპირებს, მათ შორის იაპონიას და ჩინეთსაც. დღეს თუ მთელი თვე უნდება კაცი, ან წიგნი, ან საქონელი, ლონდონიდან ჩინეთში მისვლას, ციმბირის რკინის გზის დასრულების შემდეგ ათი, თორმეტი დღის მეტი როდი-ღა დასჭირდება... ამასთანავე რუსეთს, ამ გზის მეოხებით, სრული საშუალება ეძლევა თვალ-უწვდენელ ციმბირის ნაყოფიერი მიწდვრები, აქამდინ უხალხო და უკულტურო, რიგიანად დაასახლოს, თუნდ ჩინელი ხალხით, და აყვავებულ მრეწველობის ასპარეზათ აქციოს. შორე-აღმოსავლეთის ას-ას მილიონიანი სახელმწიფოები საკმაო და ჩინებული გამსაღებელი იქნებიან ამ მრეწველობის ნაწარმოებისა.



ბრძოლის

მეც

ეს რკინის გზა თავდება (ან იწყება) ვლადი-  
ვოსტოკს, ნავთ-საყუდარს იაპონიის ზღვაზე,  
კორეას საზღვარის ახლო. იაპონიის ზღვას  
დასავლეთით კორეა აკრავს და აღმოსავ-  
ლეთით — იაპონია. როგორც წელან მოგახსენ-  
ნეთ, ამ ზღვაზე მარტო ერთი რიგიანი \*)  
სრუტეა — ის ადგილი, საცა სამხრეთით კო-  
რეა და იაპონია ერთმანეთს უახლოვდება. ამ  
კარს „ბრაუტონის სრუტე“ ჰქვია. იაპონიის  
ზღვას ეს კარი სწორეთ იმ რიგათვე ჰკეტავს,  
როგორც გიბრალტარი — ხმელთა-შუა ზღვას,  
ან ბოსფორი — შავ-ზღვას. ამ გასავალში, რო-  
გორც ყოველგან დედა-მიწაზე, საცა კი მო-  
ხერხებული კარი ან საკეტი აქვს რომელიმე  
ზღვას, ინგლისს ერთი ჩინებული ნავთ-საყუდა-  
რი და კუნძული ჰქონდა აჩენილი და დაჭე-  
რილი, საიდანაც ადვილათ შეეძლო, როცა  
მოინდომებდა, ერთიანათ დაეკეტა იაპონიის  
ზღვა, ისე რომ შიგ, უიმისოდ, შესვლა ვერა-  
ვის შეძლებოდეს. ამ ნავთ-საყუდარს სახელათ  
„პორტ-ჰამილტონი“ დაერქვა. 1884-ში, რო-

---

\*) რადგან ყველა სხვა სრუტე მარტო იაპონიის  
ხელშია და ზამთრობით იყინება



ცა რუსეთსა და ინგლისს შუა დავიდარაბა იყო  
ატეხილი ავღანისტანის თაობაზე, რუსეთმა ინ-  
გლისს ჰამილტონის დაცლა და მიტოვება მო-  
სთხოვა: თქვენი იქ ყოფნა გზას მიკრავს ჩემი  
„პრიმორსკი ობლასტისთვის“. ინგლისმა (მა-  
შინ მის საქმეებს გლადსტონი მართავდა) სა-  
მაგიეროთ მოსთხოვა — პირობა დამიდევით რომ  
კორეას ხელი არ ახლოვდეს, მაშინ მე ჰამილ-  
ტონის კუნძულს დავცლიო. პორტ-ჰამილტონ-  
ის ჯერ დაჭერა და მერე დაცლა ცოტათი  
იმას გავდა, „კურტანი კურტანზე არ დაად-  
გაო“. თორემ მანამდე რუსეთს გაგებაც კი არ  
ჰქონია ამ მხარეში სრუტეების მნიშვნელობისა,  
რადგანაც 1875-ში რუსეთმა თავის ნებით  
დაუთმო იაპონიას ჩრდილოეთი სრუტეები თა-  
ვისი ოხოტსკის ზვიდან გაშლილ ოკეანესკენ,  
როცა სახალინის კუნძულის ნახევარში ყვე-  
ლა თავისი კურილის კუნძულები (Куриль-  
ские острова) გაცვალა. ისიც კი მართალია,  
რომ ეს სრუტეები, როგორც ყველა ჩრდი-  
ლოეთის სრუტეები იაპონიის ზღვიდან, შვიდი,  
რვა ან ცხრა თვის განმავლობაში გაყინული  
და უხმარია გემებისთვის.

რაკი იაპონიის ზღვიდან, ციმბირის აღებ-მი-





ბრძოლის  
გაგანა



მეც

ცემობას და სამხედრო ფლოტს საკუთარი სრუ-  
ტე არა აქვს, ბევრათ ემჯობინებოდა ციმბი-  
რის რკინის გზის გაყვანის დაწყებამდე ეშოვათ  
ეს სრუტე. მაშინ ამას უფრო ადვილათ, უფრო  
იაფათ დაუთმობდნენ რუსეთს, ვიდრე ეხლა,  
როცა რკინის გზის გაყვანას არ შეეძლო ინ-  
გლისი არ გაეფრთხილებინა. რკინის გზა რუ-  
სეთს ადვილ საშუალებას მისცემს, რამდენიც  
ჰსურს, იმდენი ჯარი და იარაღი მიზიდოს რუ-  
სეთიდან ვლადივოსტოკს. აქ მომავალში რუ-  
სეთი, უეჭველია, დიდ ფლოტს გაიმართავს.  
თუ იმას მაშინ თავისუფალი გასავალი გზა ექნა  
იაპონიის ზღვიდან გაშლილ ოკეანესკენ, ად-  
ვილად მოუხერხდება საკუთარი აღებ-მიცემო-  
ბაც გაიმართოს ჩინეთთან და აღმოსავლეთთან  
და თან, როცა მოინდომებს, ჯარიც დაასხას  
ინგლისის სამფლობელოს ინდოეთში და ავსტ-  
რალიაში. აქედან ცხადია, რომ ინგლისმა ყო-  
ველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რაც კი მოუ-  
ხერხდება, იაპონიის ზღვის სრუტეს შესაკრა-  
ვათ. თუ ეს სრუტე, ან თუნდ მარტო ერთი  
მისი მხარე, რუსეთის ხელში ჩავარდა, ცხადია,  
რომ რუსეთი ინგლისის მზრუნველობიდან თავს  
იხსნის ვაჭრობის და ნაოსნობის საქმეებში და



მის მეტოქეთ გახდება მარტო შორე-აღმოსავლეთში კი არა, ინდოეთის ოკეანეშიაც.

იპპონიის ზღვის სრუტე ერთის მხრით იპპონიას უჭირავს, მეორეს მხრით—კორეაში, რომელიც ცალკე სამეფოა, ჩინეთის იმპერატორის ვითომ ხელ-ქვეითია. კორეა იპპონიის ზღვასა ჰყოფს ყვითელი ზღვიდან. ამ ორ ზღვას შუა იმას უკავია სიგრძეზე რვა-ასი ვერსტი და სიგანით კი—ორასი ვერსტი. სამი მხრით იმას, 1800 ვერსტის სიგრძეზე, ზღვები უვლის; ხმელეთს კი მარტო ორასიოდე ვერსტის სიგრძეზე აკრავს ეს ნახევარ-კუნძული. ამ სივრცეზე კორეაში თორმეტი მილიონი ხალხი ცხოვრობს, ან თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე კავკასიაში. საუბედუროთ, ეს ხალხი და ქვეყანა სწორეთ ისე მოუწყობელი და ჩამოქვეითებულია, როგორც ჩინეთი, თუ უფრო მეტათ არა. თითქმის სრულიათ ველურ მდგომარეობაში იმყოფება მისი ღატაკი და უმეცარი ხალხი. მაშასადამე, ამ სამთავროს ბედიც ისე გადაწყვეტილია, როგორც ჩინეთისა: არავინ იცის ჯერ, ვინ დაიჭერს, დაიმონებს და შთანთქმავს, მაგრამ ის კი ყველასთვის ცხადი და უდავოა, რომ ვისმე ულუფათ უნდა ერგოს... წინა კა-



ცი უკანასთვის, უწინდელის შეხედულებით, წინამძღოლი, გზის განმანათებელი, დამხმარე უნდა ყოფილიყო. ეხლა კი დაწინაურებული ერები იმ მოძღვრებას დასდგომიან, რომ დაწინაურებულმა უკან ჩამორჩენილი უნდა დაიმონოს და ხრასო... დრონი მეფობენ. ცუდი მოძღვრებაა ეს მოძღვრება, უსინიდისო, ველური; მაგრამ ლანძღვით და ტირილით მის ძალას ვერავინ შემუსრავს. მისი მოსაგერებელი მარტო ერთი საშუალებაა: ვერიდოთ უკან ჩამორჩენას, დავწინაურდეთ... და რაკი კორეა უკან ჩამორჩენილია, ყველასთვის აშკარაა დღეს, რომ იაპონიის ზღვის გასახსნელი ან დასაკეტი კარი და კლიტე მარტო კორეაში უნდა იშოვოს ან რუსეთმა, ან ინგლისმა. ვინ ჩაიგდებს ხელში ამ კარსა და კლიტეს? გაიხსნის თუ არა რუსეთი გზას გაშლილ ოკეანესკენ, ან მოახერხებს თუ არა ინგლისი მაგარი რაზა-კოქაკი დაადოს იმ ერთად-ერთს სრუტეს იაპონიის ზღვისას, რომელიც რუსეთის ფლოტს წინ უძევს კორეას სამხრეთის წვერთან? ვინ იცის.

მარტო კორეას მხრით, მარტო კორეაში შეიძლება მეთქი კარისა და გზის შეძენა, თუ შეკვრა. მართლაც, ბრაუტონის სრუტეს ერთი





კიდე კორეას ეკუთვნის და მეორე კი—იაპონიას, რომელიც ისე დაწინაურდა ამ უკანასკნელ ოცდა ხუთი წლის განმავლობაში, რომ მას აგრე ადვილად ვერც ერთი ევროპის სახელმწიფო ველარ შეეჭაკება და ძალით ველარასფერს წაართმევს. ეს სახელმწიფო ერთობ დიდ და ნათელს მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულაათ ველოურ და უკან ჩამორჩენილ ხალხისთვის სწავლით და რიგიანის წესით წელში გამართვა და ძალის შეძენა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რაგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერთა და სამეფოებს შუა...

ამ ოცდა ათი წლის წინათ, 1863-ში, მთელი იაპონია სწორეთ იმგვარსავე ველოურ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორშიაც ჩინეთი და კორეა დღემდინაც არიან ჩაფლული. ამ წელიწადში იაპონიას, სხვა-და-სხვა ძარცვისა და ველოურ მოქმედების გამო, ინგლისის და საფრანგეთის ფლოტი თავს დაესხა მძარცველების დასასჯელათ. ევროპულ ზარბაზნებს და ჯარს, რასაკვირველია, ვერაფერი დაუდგა წინ. იაპონიის მთავრობას და დამნაშავეებს ევრო-



პელებმა ჯარიმა გადაახდევინეს და თავი დაანებეს. ამ გარემოებამ მთელ ქვეყანას დაანახვა იაპონიის სიძაბუნე. მაგრამ თვითონ ხალხი, მეტად მეცადინი, მარჯვე, გამბედავი და თავმოყვარე, ერთიანად შეიძრა, როცა სხვისი უპირატესობა და თავისი უკან ჩამორჩენა იგრძნო და დაინახა. უნდა ვიცოდეთ, რომ იაპონია სულ ერთიანათ მარტო კუნძულებიდან შესდგება. სულ 3850 კუნძული ითვლება იაპონიაში და ამ კუნძულებზე ორმოციოდე მილიონი ხალხი ცხოვრობს, რომლის სისხლი ნარევია მონგოლის და ჩინურ მოდგმისა. ამ კუნძულებს ერთმანეთში და ჩინეთთან ძველის დროიდან დიდი აღებ-მიცემობა ჰქონდათ გამართული, ისე რომ მრეწველობა და ვაჭრობა იაპონიაში გაჩაღებული იყო. პოლიტიკური წყობილება ამ ქვეყნისა ერთობ დაძველებული და დასუსტებული ყოფილა. მის მეფეს, მიკადოს, — რომლის უფლება ძველ დროში სასულიეროც ყოფილა და სამხედროც, — რომ ველარ შესძლებია ამოდენა გაცალცალკევებულ კუნძულების მართვა და დამორჩილება, თავისი სამხედრო უფლება გადაუცია, მეთორმეტე საუკუნეში, იმისი მოწინააღმდეგე თავადისთვის,



რომელიც დაჰპირებია — ყველა სხვათა შინაგანად  
თავადებს დავიმორჩილებ, შენ სასულიერო მე-  
ფე იყავი მთელის იაპონიისა, მე კი სამხედრო  
და სამოქალაქო აღმსრულებელი გავხდები შე-  
ნის ბრძანებისაო. ამ თავადს, სახელათ **იორი-**  
**ტომოს**, მაშინ **სიოგუნის** ან **ტაიკუნის** ღირ-  
სება მიეცა. მას აქეთ იაპონიაში, 1863-მდე,  
ორი მეფე იჯდა ტახტზე, სხვა-და-სხვა ქალაქ-  
ში. ერთი, სიოგუნი თუ ტაიკუნი, სამოქალა-  
ქო და სამხედრო მმართველი იყო მთელის ია-  
პონიისა, და მეორე, მიკადო, მარტო სასული-  
ერო საქმეებს მართავდა, თუმც უფროს იმპე-  
რატორად კი ითვლებოდა. ორივე ამ მეფის  
უფლება იმნაირათვე ფიქტიური იყო, რო-  
გორც დღეს ჩინეთის იმპერატორის მეფობაა.  
თვითეულ კუნძულზე ან კუნძულის ნაწილზე  
ნამდვილი ბრძანებლობა თავადებს, **დაიმიო-**  
**სებს**, ჰქონდათ. ესენი მეფეებს არც კი ემორ-  
ჩილებოდნენ და ხალხს, რამდენიც უნდოდათ,  
იმდენათ ავიწროებდნენ; განსაკუთრებით ნაწვა-  
ლები იყვნენ მათგან ვაჭრები და ხელოსნები:  
თვითეული დაიმიოსი თავის საბრძანებელში  
რაც უნდოდა იმ ბაჟს და გადასახადს ადებდა  
ხელოსნებს, მრეწველებს და ვაჭრებს.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



მეც

ევროპელები რომ შინისკენ გაბრუნდნენ ჯა-  
რიმით დატვირთულები, ხალხში მოძრაობა და  
აჯანყება მოხდა. მაისის თვეში 1863 წ. გაჭირ-  
ვებულმა ტაიკუნმა **სტოტსბაშმა** მიკადოს სთხო-  
ვა — დაიბარე ყველა დაიმიოსები, ერთათ მოვი-  
აზროთ და გადავწყვიტოთ, როგორ მოვეწყოთ,  
რომ ამისთანა ლაფი მეორეჯერ აღარ დაგვე-  
სხასო. ასე მართვა აღარ შეიძლება ქვეყნისაო.  
მთავრობას და მმართველს ძალა უნდა ჰქონ-  
დეს, შემოსავალი, უფლება და სხვ., თორემ  
არც წესი იქნება შინაგანი, არც გარეგანი  
მშვიდობიანობა დაიცვებაო. მიკადომ, სახელად  
**მუწყუკიტომ**, დაიბარა ყველა დაიმიოსები. ამ  
უკანასკნელთა კრებამ, ჯიბრზე, მიკადოს ძალა  
დაატანა და ბრძანება გამოაცემინა, დღეის იქით  
ტაიკუნობა ერთიანათ მოისპოსო. სამეფო უფ-  
ლება, როგორც სასულიერო, ისე სამხედრო  
და სამოქალაქო, ერთიანათ მიკადოს ჩაჰბარდა.  
იმას გვერდით ამოუდგნენ ნიჭიერი დამხმარენი  
**ტოზა, საწყუმა, ნაგოტო** და სხვ. და სხვ. ამ  
მიკადომ თითქმის ისეთივე ადგილი დაიჭირა  
+ იაპონიის ისტორიაში, როგორიც რუსეთისაში  
პეტრე დიდს უჭერია. რამდენიმე წლის განმ-  
ვლობაში მან ერთიანათ შესცვალა მთელი ში-



ნაგანი წყობილება იაპონიის სახელმწიფოს  
არც აცივა, არც აცხელა, პეტრე დიდსავით,  
აიღო და ერთიანათ, ერთბაშათ გადმოიღო ევ-  
როპის წესი, კანონი, წყობილება, იარაღი,  
ტანსაცმელი და სხვ. თან რაც პეტრეს არ მო-  
უქმედია, ისიც კი გაბედა: პარლამენტი დაა-  
არსა იაპონიაში სხვა-და-სხვა კუნძულების წარ-  
მომადგენლებისაგან. ამასთან მეორე საქმეც და-  
იწყო აგრეთვე პეტრესგან მიტოვებული: დაი-  
მიოსების უფლება მოსპო და ადგილ-მამულები  
სახაზინოთ ჩარიცხა. სამაგიეროთ დაიმიოსებს  
ზომიერი პენსია დაუნიშნა.

რალა თქმა უნდა, ადვილი საქმე როდი იყო  
ეს ცვლილება, არც ერთბაშათ მიუღია ეს ია-  
პონელ ხალხს. 1863-შივე მოხდა პირველი  
აჯანყება ახალი წესის, თუ განზრახვის, წინაა-  
ღმდეგ. ეს აჯანყება ერთ ალაგას რომ დამარ-  
ცხდებოდა, მეორეზე ატყდებოდა, აქა-იქ. მის  
მეთაურათ, რასაკვირველია, დაიმიოსები და  
თვით მეფის ნათესავები იყვნენ. დიდი ბრძო-  
ლის შემდეგ მიკადომ, როგორც იქნა, დაამარ-  
ცხა და დაამშვიდა ეს აჯანყება 1868-ში. მარ-  
ტო ამ გამარჯვების შემდეგ იმას საშუალება  
მიეცა რეფორმები დაეწყო, და მართლაც ამ



თარგმანი

მეც

1868-დან იწყება ახალი ხანა იაპონიის ცხოვრებისა. დაიბარეს ნასწავლი და მეცნიერი პირები საფრანგეთიდან, ინგლისიდან, გერმანიიდან, ამერიკიდან და თვით რუსეთიდან. უთვალავი სასწავლებელი გამართეს იაპონიაში. ახალგაზდა იაპონელები ათასობით გაგზავნეს სწავლის მისაღებათ ევროპაში თუ ამერიკაში, და იქ სასწავლებელში მიაბარეს სრულ, დამთავრებულ სწავლის მისაღებათ, ცოდნის სხვადა-სხვა ნაწილზე. ზოგი სამხედრო სასწავლებელში მისცეს, ზოგი—სანავოსნოში, ზოგი—ტექნიკურში, ზოგი იურიდიულში და სხ. სწავლა ყველას ბოლოდან კი არა, თავიდან, ანაბანიდან, დააწყებინეს. ამასობაში მთავრობამ ევროპის და ამერიკის ქარხნებს შეუკვეთა ხომალდების აგება ახალ, უკანასკნელ შენობისა. დაიბარა ინჟენრები იაპონიაში რკინის გზების, ტელეგრაფის და ციხეების გასამართავათ, აფიცრები—ჯარის გასაწყობათ და გასაწოთვნელათ და სხვ. და სხვ. ათიოდე წელიწადის შემდეგ იაპონიას საკუთარი ნასწავლი ყმაწვილებიც დაუბრუნდა შინ, ჩინებულათ, ევროპულად დამზადებულნი ქვეყნის სამსახურის გასაწევათ, მასწავლებელნიც თავისი ელირსა,





აფიცრებიც, ინჟენრებიც, მენავეებიც, ტეხნიკებიც და სხვ. და სხვ.

საქმე არ დაჰკლებია არც ევროპელ ინსტრუქტორებისაგან გაწრთენილ ჯარს და მმართველობას, არც საკუთრივ იაპონელ ახალ-თაობას, ევროპაში გამოზრდილს და ეხლა მართებლობის მეთაურად დაყენებულს. 1873-ში მთელს სამხრეთ იაპონიას ახალი აჯანყება მოედო, აგრეთვე დაიმიოსების მეთაურობით მომხდარი. ეს აჯანყება 1874-ის დამდეგში დაამარცხა და მოსპო შინაგან სააქმეების მინისტრმა **ოკუბომ**, ქალაქ საგას აღებით, ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ. ორი წლის შემდეგ აჯანყება მოახდინა გენერალმა **ხიოგომ**, რომელმაც მთელი დიდი კუნძული **კიუ-სიუ** ააჯანყა და დაიჭირა. ეს აჯანყებაც, როგორც იქნა, დაამარცხა მთაგრობაჲ. ორივე ამ აჯანყებასთან ბრძოლაში ახალი იაპონიის ჯარი და მმართველობა გამოიცადა და გაიწრთენა და თან ჩინებული თვისების მექონი გამოდგა: მაცობისა, დისციპლინისა და გასაჭირის ატანისა...

უფრო ხეირიანი ასპარეზი მიეცა იაპონიის ფლოტს და ჯარს 1874-ში. ჩინეთს ერთი დიდი



ქართული  
ლიტერატურის



მეც

კუნძული ეკუთვნის, იაპონიის სამხრეთით, სა-  
ხელათ **ფორმოზა**. ეს კუნძული მეტათ მდი-  
დარია ქვა-ნახშირით და ძვირფას საუნჯეს შეად-  
გენს ყოველ სამეფოსთვის, რომელსაც კი ხო-  
მალდები ჰყავს და აღებ-მიცემობა აქვს გამარ-  
თული ზღვაზე. იაპონიას დიდი ხანია თვალი  
უჭირავს მაზედ. 1871-ში ერთი მისი სავაჭრო  
ხომალდი, ამ კუნძულთან დამდგარი ნახშირის  
გასატანათ, იქაურმა ველურმა მცხოვრებლებ-  
მა გაძარცვეს. იაპონიამ ჩინეის მიმართა—ზა-  
რალი გადამიხადეო. ჩინეთმა უარი უთხრა: იქ  
ველური ხალხი ცხოვრობს, მე არც კი მემორ-  
ჩილებათ. ხანგრძლივ მიწერ-მოწერის და მო-  
ლაპარაკების შემდეგ, იაპონიამ ჯარი გაგზავ-  
ნა 1873-ის მაისში ფორმოზის დასამორჩილებ-  
ლათ. გაიმართა ბრძოლა, რომელშიაც იაპო-  
ნიის ჯარი გამარჯვებული დარჩა. მთელი ფორ-  
მოზა იაპონიის ხელში ჩავარდა. მაშინ ინგლის-  
მა ჩინეთს თვალი აუხილა, როგორ შეიძლება  
ამისთანა საუნჯე იაპონიას დაანებო, შეურიგ-  
დიო, გიჯობს, რასაც თხოულობს, ყველაფე-  
რი გადაუხადო, ოღონდ კი კუნძული დაიბ-  
რუნოო და სხვ. ჩინეთი, ამის თანახმად, იაპო-  
ნიას მოურიგდა (ოქტომბერი, 1874): გაძარ-



სულ გემის ზარალიც გადაუხადა და ყველას  
ის ხარჯიც დაუბრუნა, რაც იაპონიას ფორ-  
მოზაში ჯარის გასაგზავნათ და საომრათ მოსვ-  
ლოდა. სულ გადაჰხდა ჩინეთს ერთ მილიონ-  
ნახევარი მანეთი. ფორმოზა იაპონიამ ჩინეთს  
1874-ის დამლევს დაუბრუნა.

იაპონიის ხალხმა, გემო გაიღო თუ არა წარ-  
მატებისა, და დაინახა თუ არა თავის ჯარის  
გაწრთვნილი რაზმები, თავის გემების იარაღი  
და ძლიერება, მაშინვე კორეისკენ ცქერა  
დაიწყო. ეს მხარე დიდი ხანია სანატრია  
მისთვის. 1873-ის ბოლოს უმაღლესმა წოდე-  
ბამ უშველებელი მოძრაობა ასტეხა მთელს  
იაპონიაში—ეხლავე გავგზავნოთ ჯარი კო-  
რეის ასაღებათაო. მიკადოს მმართველობამ  
ვერ გაბედა ამ ხალხის სურვილს აჰყოლოდა,  
რადგან, კორეაში ჯარი რომ გავგზავნა, შან  
საკმაო ძალა აღარ დარჩებოდა არეულობის ან  
აჯანყების დასათრგუნად. შემდეგ, 1874 წელ-  
ში, ხელმეორეთ მოითხოვა ხალხმა კორეის  
დაჭერა. თვით კორეაზე, ზღვის პირათ, იმ  
ადგილას, საცა ბრაუტონის სრუტე უფრო ვი-  
წროა, იაპონიას დიდი ხანია დაჭერილი აქვს  
ნავთ-სადგურიანი ქალაქი ფუ-ზან (ჰამილტონ-





ნის პორტის ახლოს და პირდაპირ). ამ ქალაქში 1874-ის ზაფხულზე იაპონიის ელჩები მოვიდნენ, კორეასთან სავაჭრო ტრაქტატის შესადგენათ. სანამ ეს ელჩები კორეიას მხრით პასუხს ელოდნენ, მათი მომყვანი ხომალდი საქმეს შეუდგა და ახლო-მახლო ზღვის სიღრმეს ზომა დაუწყო. კოკის კუნძულთან რომ მივიდა ეს ხომალდი, იქაურ კოშკიდან მას ზარბაზნის ყუმბარები დაუშინეს. ხომალდის უფროსმა სამაგიერო პასუხი გასცა ზარბაზნით და არც ეს ამყოფინა: ჯარი ჩამოსვა ნაპირზე და კოშკის ასაღებათ გაგზავნა. მისვლა, დატაკება, აღება და დაქცევა ერთი იყო. ხომალდი ამის შემდეგ ჯერ ფუ-ზანში და შემდეგ იაპონიაში დაბრუნდა. როცა ეს ამბავი იაპონელებმა გაიგეს, იმ წამშივე მოითხოვეს—ომი გამოეცხადოს კორეასო, ჯერ ერთი იმისთვის, რომ ჩვენი ელჩები არ დააკმაყოფილა, და მეორე იმისთვისაც, რომ უპატიურება მიაყენა ჩვენს გემს და დროშასო. თუმცა ამას თითქმის მთელი იაპონია თხოულობდა, მთავრობამ ვერც მაშინ გაბედო ომის დაწყება, აგრეთვე შინაური აჯანყების შიშით. შეიძლება შინაურ მტრის მორიდების გარდა ის იმასაც შეეჩერებინოს, რომ ორივე



ეროვნული

ბიბლიოთეკა

მკ

მისი ახლობელი და ძლიერი მეზობელი, ჩინეთი და რუსეთი, ერთობ საშიში იყო მისთვის, და ორივე იმ დროს სრულიათ თავისუფალი იყო ყოველგვარ განსაცდელისაგან; ორივეს, მაშასადამე, ადვილათ შეეძლო იაპონიის გამოდევნა კორეიდან. ეს იქიდანაც სჩანს, რომ გაება თუ არა ჩინეთი საფრატეთთან ომში, 1884-1885-ში, იაპონიამ მაშინვე კორეაზე გამოილაშქრა. მიზეზათ ის დაიხვია ხელზე, რომ კორეას ველოური ხალხი იქ დასახლებულ ჰემ ვაჰრებს და ქვეშევრდომებს სძარცვავს და ავიწროვებსო. ჩინეთს იმ დროს კორეასთვის არ ეცალა და კორეას დაცვა არ შეეძლო. ამ მიზეზით იმან იაპონიასთან მორიგება არჩია. 6 (18) აპრილს 1885 ჩინეთსა და იაპონიას შუა ხელ-შეკრულობა დაიდვა, რომლის ძალითაც ორივე სამეფოს ნება ეძლევათ, ვინიციობაა თუ კორეაში რამე მძიმე არეულობა (troubles graves) მოხდა, თავისი ჯარი გაგზავნოს და თვითონ აღადგინოს წესი. ამ პირობის ძალით იაპონიამ პირდაპირი გავლენა შეიძინა კორეაში, რადგან თვით იმ სამეფომ, რომელსაც მანამდე ექვემდებარებოდა კორეა, ხელშეკრულობით იცნო იაპონიის მზრუნველობა კორეა-



ზე ყოველ არეულობის დროს, იცნო იაპონიის **condominium**ობა, ესე იგი თითქმის იმნაირივე უფლება იაპონიისა კორეაზე, როგორიც თვით მას, ჩინეთს, ჰქონდა.

ამ გვარ მდგომარეობაში იყო საქმე, როცა წრეულს (1894) მარტის თვეში, კორეის სამხრეთ პროვინციებში დიდი არეულობა და აჯანყება ატყდა. ყოველ უფლებას, სწავლას და ქონებას მოკლებული ხალხი აჯანყდა მთავრობის წინააღმდეგ და კორეას ვითომ-ჯარი, აგრეთვე როგორც კორეის ვითომ-მთავრობა წინ იფრინა. მეფემ ორჯელ-სამჯერ ახალ-ახალი ჯარი გაგზავნა ახალი სარდლების წინამძღოლობით: ყველა დამარცხებული დაუბრუნდა. მაშინ ის ჩინეთისკენ მიიქცა: არიქა, მიშველე, ჯარი დამახმარეო. სანამ ჩინეთი ფიქრობდა და ჯარსა თუ იარაღს იმარაგებდა, იაპონიამ 1885-ის მორიგების ძალით თავისი რაზმები კიდევაც შეიყვანა კორეაში და სატახტო ქალაქი **სეული** კიდევაც დაიკავა. ამასობაში ჩინეთის ჯარიც შევიდა კორეაში. ადვილათ წარმოსადგენია, რით უნდა გათავებულიყო ეს მდგომარეობა. როგორც — სახარების სიტყვით ორ უფალს ვერავინ





ემსახურება, ისე, თურმე, ვერც ორი ბატონი  
ერთმანეთს შეეთვისება. ორი დათვი ერთათ  
ვერ სძლებს. ჩინეთმა იაპონიას წინადადება  
გაუგზავნა: რაკი აჯანყება დაბოლოვდა და  
წესიერება აღდგენილია, ჯარი გაიყვანე კო-  
რეიდანო.—ვერაო, უპასუხა იაპონიამ: წესი  
მარტო იმან აღადგინა, რომ ჩემი ჯარი შემო-  
ვიყვანო; თუ ჯარი გავიდა, შფოთიც ხელ-  
ახლავ ატყდება, რადგანაც ის მდგომარეობა არ  
შეცვლილა, რომელმაც არეულობა მოახდინაო.  
ჯარს მარტო მაშინ გავიყვან, როცა დავრწმუნ-  
დები და გარანტიაც მექნება, რომ კორეაში  
წესიერება შეურყევლათ არის დამყარებულიო.  
ამისთვის კი საჭიროა, რომ კორეას მეფე და  
მთავრობა მტკიცეთ დაადგეს რეფორმების გზას;  
იმან პირობა უნდა მომცეს აი ეს ოც და ხუთი  
უმთავრესი ცვლილება მოახდინოს თავის ქვე-  
ყნის წეს-წყობილობაში. უამისოთ ჯარს არ  
გავიყვან კორეიდან, რადგანაც, რომ გავიყვა-  
ნო, მალე ხელ-ახლავ დამჭირდება მისი დაბრუ-  
ნება და ეს ერთობ ძვირათ ჯდება, ერთობ  
უანგარიშო იქნებაო.

სამი თვის განმავლობაში სულ ამ საგანზე  
იყო ბაასი, დავა და მოლაპარაკება. იქნება



სამი წელიც გაგრძელებულიყო ამ გვარი მდგომარეობა, იაპონია რომ არ დარწმუნებულიყო, საქმის გაგრძელება ჩემთვის სასარგებლო როდი იქნებაო. ამ ანგარიშით მან ერთის მხრით კორეის მეფე ხელში იგდო და დაატუსაღა, და მეორეს მხრით ზღვაში დაახვედრა თავისი ფლოტი იმ გემებს, რომელთაც ჩინეთის ჯარი მიჰყავდათ კორეისკენ; ერთი ამ გემებთაგანი კიდეცა დააღუპინა, 1500 მხედრით; სხვა კი ზოგი დაატუსაღებინა, ზოგიც დააზიანებინა. აქედან იწყება აშკარა ომი ჩინეთსა და იაპონიას შუა.

მალე გათავდება ეს ომი, თუ არა, ან რით გათავდება, ამას ვერავინ გადასწყვეტს, რადგანაც ნამდვილი მებრძოლი ამ ომში იაპონია და ჩინეთი კი არაა, რუსეთი და ინგლისი გახლავან; ინგლისმა იანგარიშა ეს ასე კარგათ, თუ იაპონიამ, ვინ იცის! ნამდვილი კი ისაა, რომ ჩინებულათ ნაანგარიშევი და გამოზომილია ეს საქმე. ყველაზე უფრო საგრძნობი კორეის ბედი მარტო რუსეთისათვის არის; მისთვის, მისი ციმბირის აღმოსავლეთ ნაწილისთვის, მისი ციმბირის ფლოტისა და რკინის გზისთვის კორეა და ბრაუტონის სრუტე სწო-



რედ რომ სიცოცხლის ან სიკვდილის მომნიშვნელოა. საუბედუროთ, როცა აი ამ კორეის და ამ სრუტეს ბედი სწყდება ომის ველზე, როგორც რუსეთს, ისე მის ამხანაგს საფრანგეთს ხელ-ფეხი შეკრული აქვთ ევროპის მდგომარეობით, ევროპის ომის მოლოდინით; ორივეს ძალის და ჯარის გაფანტვა ეზარება: საჭიროა მათი მთელი ძალა ევროპაში იქონიონ, სამთა-კავშირის ძალასთან დასაპირდაპირებლათ. მათ ჯარს ევროპაში იმოდენი რომ მოაკლდეს, რამდენიც, ვთქვათ, მარტო იაპონიასთან საბრძოლველათ დასჭირდება რუსეთს, მაშინ ევროპაში არც უკანასკნელს, არც საფრანგეთს განძრევაც აღარ მოუხერხდება. მერე კორეაში რუსეთმა ომი რომ გამართოს იაპონიასთან, განა ინგლისი გულ-ხელ დაკრეფილი დარჩება? ან იაპონიის ზღვაში რუსეთს რომ ომი აუტყდეს კორეის გულისთვის იაპონიასთან, ან იაპონიასთან და ინგლისთან, ვაი თუ სამთა-კავშირმა ამით ისარგებლოს ევროპაში იმ საშიშ კავშირის დასარღვევათ, რომელიც რუსეთსა და საფრანგეთს შუა არსებობს? ეს კითხვები, ვისაც გნებავთ, იმას ჩააფიქრებს და დააღონებს.





რუსეთის პოლიტიკურ მწერლობას, რუსეთის ჟურნალ-გაზეთებს, ჯერეც ხეირიანათ არ ესმის ეს მდგომარეობა. ამ დღეებში გაზეთი „НОВОСТИ“, მაგალითათ, სწერდა: კორეა რუსეთისთვის მით არის საჭირო, რომ გასასაღებელი ასპარეზი უშოვოთ ციმბირის მრეწველობასო. ბევრს იყიდის, დიდ მოგებას მისცემს რუსეთს ეს ლატაკი და არაფრის მქონე, არაფრის მოსურნე ხალხი, რასაკვირველია! ის კი არავის ესმის, რომ ვისაც ბრაუტონის სრუტე ეკავება ხელში, იმას ციმბირის აღმოსავლეთის ნაწილის დაკეცვა, დამშევა და დახჩობა შეეძლება, და ვინც მთელ მილიარდს ხარჯავს ათი ათასი ვერსტის რკინის გზის გასაყვანათ, ის ვალდებულია გასავალი კარი უშოვოს და გაუხსნას ამ გზას და მისგან აღძრულ ქვეყანას, თუ მისი დაღუპვა არ უნდა...

საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე და მწერლობაზე კი იაპონიის შეტაკებამ ჩინეთთან საშინელი გავლენა იქონია. სრულიათ თავზარდაცემულის კილოთი სწერენ საფრანგეთის გაზეთები: ყოვლად საჭიროა საქმე იმავე მდგომარეობაში დარჩეს, როგორშიაც აქამდი იყო; კორეა ჩინეთის იყო და არის, ჩინეთის ხელ-



ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მსპ

შივე უნდა დარჩეს, იაპონიას მასთან რა ხელს აქვსო! ევროპის ყველა სახელმწიფოები ერთ ხმით იმ პოლიტიკას უნდა დაადგენ, რომ არავის არავითარი ცვლილების თუ შეძენის ნება არ მიეცესო. რუსეთის ჟურნალ-გაზეთებიც, ბოლოს, აი ამ პოლიტიკას დაადგენ, ალბათ მიხვდნენ, რომ ისევ ეს ემჯობანება ჩვენი ქვეყნისთვის, სანამ ევროპაში ომის მოლოდინიდან არ განვთავისუფლდებითო. მაგიერათ სამთა კავშირის მწერლობა, თითქო განგებ, ორივე მხარეს აქეზებს ერთმანეთზე. მისთვის, აგრეთვე როგორც სამთა-კავშირისთვის, რასაკვირველია, სასარგებლო და სასურველია, რომ რუსეთის ძალა ჩათრეული იქმნას ამ შორეულ ომში, საცა არც გერმანიას, არც ავსტრო-ჰუნგარეთს, არც იტალიას არავითარი არსებითი ინტერესი არ მოეპოვება... განზრახვა კიდევ რომ არ ჰქონდეს სამთა-კავშირს რუსეთის უძლურებით ისარგებლოს ამ ომის დროს და რუსეთს შეესიოს, უეჭვოა თვითონ ეს კავშირი ომის შიშს ერთიანათ მოიშორებს თავიდან არა თუ კორეას ომის დროს, ათიოდე წლის განმავლობაშიაც მას შემდეგ...

ჩვენი შეხედულობით—და რუსეთშიაც ბე-



ვრია ამ აზრის—რუსეთს ევროპასთან სადავი-  
დარაბო, საბრძოლო არა აქვს-რა, არც არა-  
ფერს ხეირს დააყრის ევროპასთან ქიშპობა. ევ-  
როპასთან შეტაკებაში ის ყოველთვის ყოფილა  
და იქნება უკან ჩამორჩენილ, უკუდამხევ მხა-  
რეთ. რუსეთი ევროპას მარტო იმ მხრით უნდა  
ეხებოდეს, რომ განათლებას და განათლების  
იარაღს იღებდეს მისგან. ევროპა რუსეთისთვის  
არსენალათ უნდა იყოს, რომლისაგანაც იმას  
მზა-მზარეული ცოდნა, სინათლე, იარაღი და  
თესლი გამოაქვს, თავისი თვალ-უწვდენელ და  
ხელ-უხლებელ მინდვრების დასამუშავებლათ,  
თავის უთვალავ და უჩინარ ხალხის ცხოვ-  
რებაში სინათლისა და კეთილ-დღეობის შესა-  
ტანათ. ამ გზით, და მარტო ამ გზით, მას, რო-  
გორც თვით თავის საკუთარ სამეფოს უმეტეს  
ნაწილში, აგრეთვე ბნელ და უბედურ აზიის  
ცხოვრებაში შეუძლია პირნათლი და სახეირო  
როლის ასრულება: წესის, სიმართლის, სინა-  
თლის და განათლების გავრცელება იმ უთვა-  
ლავ მილიონებს შუა, რომელნიც დღეს შორე-  
ალმოსავლეთში და მთელ აზიაში ცხვრის თა-  
რასავით იკვებებიან. ბრწყინვალე და თან აღ-  
ვილიც არის ეს როლი. მთელი ევროპა მას





თარგმანი

პირველი

სსს

ხელს შეუწყობს, როცა დარწმუნდება, რომ საკუთრივ მას მით როდი დააკლდება და ომის ნიადაგი შიში კი ასცილდება. როგორც საფრანგეთს გერმანიამ ხელი როდი შეუშალა ტონკინის, ტუნისის და კონგოს შეძენის დროს და ვრცელი მფლობელობის დაარსებაში სხვა და სხვა კოლონიებში, ისე, საფიქრებელია, რუსეთსაც, ინგლისს გარდა, სხვა მეტოქე არ გამოუჩნდება ევროპის სახელმწიფოებ შუა.

ამ ბუნებრივ, აუცილებელ მისწრაფებას რუსეთისას გაშლილ და უყინველ ოკეანესკენ ორი გზა აქვს, ერთი მახლობელი და მეორე შორეული. ახლო გზა კასპიის ზღვიდან სპარსეთზე გადის ინდოეთის ოკეანესკენ, ჩოხბართან. ამ გზას მარტო ათას ხუთასი ვერსტი აქვს სიგრძე. ამ გზაზე რუსეთს, ინგლისის გარდა, სხვა ვერც ერთი შესამჩნევი სახელმწიფო მოწინააღმდეგეთ და მეტოქეთ ვერ დახვდება. ინგლისის გარდა დანარჩენი ევროპის სარგებლობა მოითხოვს, რომ ეს გზა რუსეთმა გააწყოს და დაიკავოს. რუსეთის — და განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის — ნაწარმოებს ეს გზა მთელი აზიის ბაზარს უხსნის. როცა ეს გზა გაიმართება, საქონელი ინდოეთში მაკარიიდან (ნიჟნი-ნოვოგოროდი-



საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აкадеმიის  
გამომცემი



მეც

დან) უფრო იათათ მივა, ვინემ ინგლისიდან. ამ გზის მფლობელი აზიის მეუფე იქნება, აღებ-მიცემობაში მაინც. მეორე გზა, შორეული, ურალის მთებიდან ციმბირზე ვადის წყნარ ოკეანესკენ, ვლადივოსტოკთან. ამ გზის სიგრძე ექვსი ათასი ვერსტია, ან, უფრო სწორეთ ვსთქვათ, შვიდი ათასი, თუ სიგრძეს ურალის იქითა მხრიდან კი არა, ვოლგიდან ვიანგარიშებთ. ოქროსა, ქურქის ან ფარჩის მეტი სხვა ვერაფერი საქონელი ვერ აიტანს ამ სიგრძე რკინის-გზაზე გადაზიდვის ხარჯს. მაშასადამე ამ გზით გასაღდება წყნარ ოკეანეზე მარტო შორეულ ციმბირის და არა მთელის რუსეთის ნაწარმოები. ამას გარდა მარტო ინგლისის სარგებლობა კი არა, ბევრ სხვა ძლიერ და წარჩინებულ სახელმწიფოების არსებითი ინტერესი თხოულობს, რომ რუსეთს ეს გზა შეეკრას და წყნარ ოკეანეზე უფლება არ მიეცეს. ამ გზაზე რუსეთს მეტოქეთ, მოწინააღმდეგეთ მარტო ინგლისი კი არა, ან ჩინეთი, იაპონიაც ხდვება და მასთან ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპის ყველა ის სახელმწიფოები, გერმანიითურთ, ვისაც იმედი თუ განზრახვა აქვს ჩინეთს რამე ჩამორჩეს ან ჩინეთის



მემკვიდრეობაში წილი დაიღოს. რაღა სჯა სჭირია, ამ ორ გზას შუა რომელი უფრო სახეიროა ჩვენთვის, რუსეთის ან მთელის კაცობრიობისთვის? რასაკვირველია, რუსეთს ორივე სჭირია; პირველი—თავის განსათავისუფლებლათ ევროპის ეკონომიურ მონობისაგან, და მეორე—მისი თვალუწვდენელ და დაუმუშავებელი ციმბირის ასაღორძინებლათ. თუ რუსეთს ღმერთი შეეწია და ორივე ეს გზა გაამართვინა, მაშინ მაგრათ ფეხის დადგმა წყნარ ოკეანეში გასაჯალზე აღმოსავლეთით—კორეას წვერთან, და სამხრეთით—სპარსეთის ნაპირზე, სრულიათ და სამუდამოთ დააკმაყოფილებს რუსეთის ინტერესს და საჭიროებას. მაშინ რუსეთისთვის არც შავი-ზღვის კარს ექნება დიდი მნიშვნელობა, არც ბალტიის ზღვის კარს, მაშინ ამ დიდ სამეფოს საკუთარი გზა და მსვლელობა ექმნება ნაშოვნი ყოველგან და ყოველთვის. მარტო მაშინ დაიწყება მისი ნამდვილი ზრდა, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკურიც, მარტო ამის შემდეგ მის წინ ფართოთ გადიშლება ის უსაზღვრო მსოფლიო ასპარეზი და დანიშნულება, რომელსაც მას უქადის მისი მდებარეობა ევროპის მეცნიერებასა და აზიის სიბნელეს შუა...





რამდენათ სახეიროა ეს როლი, ყველაზედ უფრო ნათლათ გამოაჩინა იაპონიის ზრდამ. ვინ წარმოიდგენდა ამ ოც-და ათი წლის წინათ ან ჩინეთში, ან თვით იაპონიაში, რომ ეს უკანასკნელი სამეფო მასზე ათჯერ უფრო ძლიერს ჩინეთს შეტაკებას გაუბედავდა, იმ იმედით, იქნება უშველებელი მისი ნაწილი, თორმეტ-მილიონ ხალხით დასახლებული, წავართვა და შევირჩინო? დღეს კი ევროპის განათლებამ, ევროპულმა წეს-წყობილებამ, ევროპულმა იარაღმა და ხომალდებმა არა თუ ეს აზრი თავში ჩაუდვა ამ შედარებით უმცროსს ერს, იმის მოფიქრებაც გააბედჯინა, რომ ჩინეთის სატახტო ქალაქს თავზე დავეცემი, ავიღებ და დავჯაბნიო... დიდი მაგალითია ეს მთელის კაცობრიობისთვის, ყველა სახელმწიფოებისთვის! ამის შემდეგ ნურვინ ამაყოფს ნურც სივრცით, ნურც რიცხვით.

ამის შემდეგ ყველასთვის, ვინც კი ერთიანათ არ დაბრმავებულია, ცხადია, რომ ძალა და ძლევა რიცხვსა და სივრცეს კი არა, **ცოდნას** და **ორგანიზაციას** ეკუთვნის, იარაღს, წესს, დისციპლინას. ჩინეთიც თუ მსწრაფლათ ამ გზას არ დაადგა და, იაპონიის მაგალითისამებრ,



თავის საშველათ ევროპულ მეცნიერებას არ შეუდგა, მისი სივრცე მისთვის შველის კი არა, დალუპვის იარაღათ იქცევა. იმას ასო-ასოთ ჩამოათლიან მის ვრცელ და თვალ-უწვდენელ პროვინციებს. მიწის სივრცე და ხალხის სიმრავლე უმეცარ და გაუწყობელ ქვეყნებისთვის მით არის საზარალო, რომ განსაცდელის თუ გასაჭირის დღეს მარჯვენა მხარემ არ იცის მარცხენას რა ემართება, და ერთი მეორეს ვერ შველის, ვერ თანაუგრძნობს. ამ გვარი ქვეყანა, შინაგანი წესისა და წყობილების უქონელობით, დამარაგებული მსხვერპლია პირველ ძლიერ ქარიშხალისა, რომელსაც ლუკმა-ლუკმა აქეთ-იქით გააქვს მისი ნაგლეჯები, რადგანაც მათ შორის ერთობა ინტერესების შეთანხმებაზე კი არა, ცარიელ დაჯახებაზე იყო დამყარებული. ევროპული მეცნიერება და სამართალი, სხვათა შორის, მითაც არის სასარგებლო, რომ ქვეყნის ერთობას და ძლიერებას მარტო ძალაზე კი არა, სამართალზე, ინტერესების შეთანხმებაზე აარსებს. ეს საფუძველი რომ არ ჰქონდეს, მაგალითად, ინგლისის ჭეშორობობას, აბა სად იშოვიდა ის ამოდენა ქვეყნების დაკავების და შენახვის ღონეს?..



ეს გახლავთ პოლიტიკური მხარე ეგრეთ წოდებულ „კორეის ომისა“ იაპონიას და ჩინეთს შუა. ამის შემდეგ მკითხველს ადვილათ შეეძლება თავის-თავათ დააფასოს ყველა იმ ახალი ამბების მნიშვნელობა, რომელსაც მას გაზეთები მოუტანენ. თვით ბრძოლის თაობაზე ისიც შეგვიძლიან ვთქვათ, რომ იაპონიის ფლოტმა თითქმის ერთიანათ მოუსპო ჩინეთს ხომალდებით ჯარის გზავნა კორეისკენ. ჩინეთს, ამის გამო, შეუძლიან კორეის დაცვა იმ საშუალებით, რომ ჯარი ხმელეთით უნდა მიასვენელოს. უწინ გაგზავნილი ჩინეთის ჯარი იდგა პენ-იანგის სიახლოვეს, კორეის ჩრდილოეთ ნაწილში. ამ ჯარსა და კორეის სატახტო ქალაქს, სეულს, შუა იაპონიას დიდ-ძალი ჯარი უყენია. გარდა ამისა იაპონიამ მოახერხა ზღვით გაეგზავნა მეორე ჯარი თვით კორეის და ჩინეთის საზღვარზე, იმ მიზნით, რომ ახალი ჯარი აღარ შეეშვა ჩინეთიდან კორეაში, და ძველათ შესულ ჯარისთვისაც სარჩოს საზიდი გზა გადაეჭრა. უკანასკნელ დებეშებიდან სჩანს, რომ იაპონიის ამ ორ ჯარს ერთიანათ გაუღეწავს და დაუტუსაღებია უმეტესი ნაწილი ჩინეთის ჯარისა კორეაში. ამასთანავე იაპონიის



ფლოტი, რომელიც ბევრათ უფრო ძლიერი და უკეთ გაწრთენილია, ვინემ ჩინური, თითქმის წამდაუწუმ გარშემო დასტრიალებს ორს ძლიერს ციხეს, პე-ჩი-ლის სრუტეზე, ვეი-ჰაი-ვეის და პორტ-არტურს. ეს ორი ციხე პე-ჩი-ლის ზღვის უბეს (ЗАЛИВЪ) და ჩინეთის სატახტო ქალაქის, პეკინის, გზას იცავს. რადგანაც ამ ციხეების დაცვა ჩინეთისთვის თვალის-ჩინივით საჭიროა, რაც ჩინეთს საომარი ხომალდი ჰყავს, ყველა აქ არის თურმე როგროვილი და უმოძრაოთ დგას ციხეების დასაცველათ. ჩინელები, ამასთან, საჩქაროთ ამაგრებენ ყველა გზებს, პეკინისკენ მომავალს, და უფრო გულ-და-გულ თავიანთი ადგილების დაცვას ცდილობენ, ვინემ კორეის დახმარებას, ანა-და იაპონიის აკლებას...

კორეას ხშირათ „განდევით სამეფოს“ უძახიან შორე-აღმოსავლეთში, რადგანაც ამ უკანასკნელ დროში მართლაც რომ განდევილის ცხოვრება ჰქონდა, ყველასგან მოშორებული, ყველასთვის მიუკარებელი. იაპონიას ჩინურათ **ჯი-პენ** ჰქვია, ესე იგი „ამომავალ მზის სამეფო“. უწინ რა იყო, ვინ იცის, და ეხლა კი მართლა ამომავალ მზესავით ჰფენს იაპონია



ცოდნის და წესის სინათლეს როგორც გან-  
დეგილის სენაკში, ისე გარშემოც, მეზობლებ-  
ში. თვალ-ყურის გდების ღირსია, სწორეთ,  
მისი აწინდელი ბედი და თავ-გადასავალი. მარ-  
თლაც, ამ შედარებით მცირე და განათლებაში  
ახლად შესულის, ჯერ დაუმთავრებელ ხალ-  
ხის გამბედავი, თითქო მოუფიქრებელი დუე-  
ლი მასზე ათჯერ უფრო ძლიერ ჩინეთთან, და  
მასთან, იქნება, **ბევრათ უფრო დაწინაურე-  
ბულ** და შემძლე რუსეთთან, სხვა რომ არა  
იყოს-რა, დრამატიულ, თითქმის ტრალიკულ  
ინტერესით არის სავსე. თუ ომი გაგრძელად და  
გაზვიადდა, ჩვენ არა ერთხელ გვექნება შემთ-  
ხვევა ამ მხარეს კიდევ დავუბრუნდეთ მის  
უფრო დაწვრილებით გამოსახვისათვის.

## ათი წლის უმედეგ.

(1904)

როგორც წინასიტყვაობაშია ნათქვამი, დრომ  
ბევრი რამ შესცვალა შორეულ აღმოსავლეთ-  
ში ამ ათი წლის განმავლობაში—იაპონიის შე-  
ტაკების შემდეგ ჩინეთთან ომის დაწყებამდე



რუსეთსა და იაპონიას შუა. ძირიანათ შეიცვალა არა თუ გარემოება, თვით სიტყვების, სახელების და აზრების მნიშვნელობა.

ამგვარი ღრმა ცვლილებების მაგალითათ ავიღოთ თუნდ სახელი „ციმბირის რკინის გზა“ (Великій Сибирскій путь). ამ ათი წლის წინეთ ეს სახელი სულ სხვა რამეს ერქვა და სულ სხვა საგანს ნიშნავდა, ვინემ დღეს. ნუ იფიქრებთ, ვითომ განსხვავება მარტო იმაშია, რომ მაშინ გზა დამთავრებული არ ჰქონდათ, უფრო იოლათ შენდებოდა, ან უფრო ღარიბი იყო სადგურებით თუ ვაგონებით, ან ეხლანდელზე უფრო ნაკლებს გაზიდავდა და დახარჯავდა. არა. თვით მისი დანიშნულება, მიმართულება არსებითათ შეიცვალა იაპონიის ომის შემდეგ ჩინეთთან.

თავდაპირველათ, როცა ციმბირის გზის აშენება განიზრახეს თუ დაიწყეს, მას მარტო ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა. იმ გეგმის ძალით, რომელიც უმაღლესათ დამტკიცდა 15 და 21 თებერვალს 1891, რუსეთი შეუდგა— დიახაც საჭირო და სასარგებლო საქმეს—რკინის გზის აშენებას საკუთარ სამფლობელოში, თავის საკუთარი ქვეყნის, ციმბირის, დასამუ-





ქართული  
ხელმოწერა



მეც

შავებლათ, მის დაასახლოვებლათ, ერთის მხ-  
რით, რუსეთის დანარჩენ მხარეებთან და, მეო-  
რეთი — იაპონიის ზღვასთან. იმპერატორი ალექ-  
სანდრე მესამის რესკრიპტი, 17 მარტს იმავე  
1891 წ. მიწერილი მაშინდელ მემკვიდრის (ეხ-  
ლანდელი ხელმწიფის) სახელზე, ორჯერ მტკი-  
ცთ ამბობს: ახალი გზის დანიშნულება — ციმ-  
ბირის დაახლოვებაა რუსეთთან. „Повелѣвъ  
нынѣ приступить къ постройкѣ сплю-  
шной черезъ всю Сибирь желѣзной до-  
роги, имѣющей соединить обильныя дара-  
ми природы Сибирскія области съ сѣтью  
внутреннихъ рельсовыхъ сообщеній“ ... და მერ-  
მე კიდევ: знаменательное Ваше участіе  
въ начинаніи предпринимаемаго мною  
сего истинно народнаго дѣла да послу-  
жить новымъ свидѣтельствомъ душев-  
наго моего стремленія — **облегчить сноше-  
нія Сибири съ прочими частями Имперіи**“.

ეს არც ცარიელი სიტყვა იყო: მაშინდელის  
გვეგმიტ გზა ზღაოტოუსტიდან ბაიკალის ტბის-  
კენ უნდა გაეყვანათ, იქიდან — სრეტენსკზე, მე-  
რე მდინარე ამურის მარცხენა ნაპირით ხაბა-  
როვსკამდი, და იქიდან მდინარე უსურის მარ-



ჯვენა მხრით ვლადივოსტოკამდე. შენებამ  
ორივე მხრიდან დაიწყეს: ბაიკალიდან სრეტენ-  
სკამდი და ვლადივოსტოკადან — ხაბაროვსკამდი.

ეკონომიური დანიშნულება ამ რკინის გზისა  
ის იყო, რომ მას შეეძლო გაეზიდა რუსეთის-  
კენ მარტო დასავლეთ ციმბირის ნაწარმოე-  
ბი, და ვლადივოსტოკს, ზღვისკენ, ამურის  
მხრის და ზღვისპირა ოლქის (Приморская  
Область) საქონელი. ბაიკალის ტბიდან (ირ-  
კუტსკიდან) საქონლის პატრონს უფრო ხელს  
მისცემდა პეტერბურგის ნავსადგურისკენ გაგ-  
ზავნა თავისი სავაჭრო, ვინემ ვლადივოსტო-  
კისკენ. მთელი გზის ქირას კი — რუსეთიდან  
ვლადივოსტოკამდე — ოქრო, ან დიბა, ან ფარ-  
ჩა თუ აიტანდა, თორემ სხვა თითქმის ვერა-  
ფერი. არა თუ ინგლისიდან ან საფრანგეთი-  
დან, თავათ პეტერბურგიდან უფრო სახეირო  
იყო მძიმე და იაფი საქონელის ვლადივოსტოკს  
ზღვით გაგზავნა ეგვიპტეს, ინდოეთის და ჩი-  
ნეთის ირგვლივ, ვინემ ციმბირის რკინის გზით:  
უფრო მალეც მივიდოდა ზღვით და უფრო  
იაფათაც, ვინემ ხმელეთით. თუმცა ეკონომიუ-  
რი მნიშვნელობა ციმბირის გზისა ამნაირათ შე-  
მოფარგლოული იყო, თავის ხარჯს და ფასს ის



ქართული  
ენების

მეც

მაინც დაფარავდა და ციმბირს, როგორც რუსეთს, სასიკეთოდ გამოადგებოდა. ეს უეჭვო იყო ყველასთვის, ვისაც კი ამგვარ საქმეებში რამე ესმის.

ამ ცხადს და ხმა-მალღა აღნიშნულ ეკონომიურ დანიშნულებას ციმბირის რკინის გზისას თან ახლდა ის აუცილებელი შედეგი, — ნათლათ ნაჩვენები ჩემს ძველ ნაწერში — რომ ვინც ამოდენა ხარჯს სწევს ამხელა გზის გასაშენებლათ, ის მომავალში ვერ დაკმაყოფილდება ვერც ვლადივოსტოკის ნავსადგურით, რომელიც ზამთრობით იყინება, ვერც იაპონიის ზღვით, რომლიდან უყინავი გასავალი გაშლილ ოკეანეში რუსეთისთვის ადვილათ დაიკეტება. ამ მიზეზით შორს მჭვრეტელმა ინგლისის და იაპონიის მმართველებმა ციმბირის რკინის გზის შენობას თავიდანვე პოლიტიკური, სამხედრო მნიშვნელობა შესწამეს, და ეს ექვი ერთიანათ მოედო ორივე ამ ქვეყნის მწერლობას. ვლადივოსტოკი ნავსადგურათ არ ვარგა, ამიტომ. რომ ზამთარში იყინებო; მაშასადამე რუსეთი კორეას დაიპყრობს, რომ ხელში ჩაიგდოს უყინველი გასავალი ოკეანესკენო. რა მღელვარება და სიძულვილი ასტეხა ამ ექვმა იაპონიაში, გავი-





გებთ, როცა გავიხსენებთ, რომ 23 აპრილს 1891 წ.—ორი თვის შემდეგ, რაც ციმბირის რკინის გზა დამტკიცდა — იაპონელმა ფანატიკოსმა ვილაც სანზო-ცუდან რუსეთის ტახტის მემკვიდრე — ეხლანდელი ხელმწიფე — კინაღამ მოჰკლა ქალაქ ოტსუში. ბეჯითად შეიძლება სთქვას კაცმა, ციმბირის რკინის გზამ თუ არ გამოიწვია, რამდენიმე წლით მაინც დააჩქარა იაპონიის ჩინეთთან შეტაკება, რომლის აშკარა მიზანი კორეის დაპყრობა იყო იაპონიისთვის. მიუხედავად ამ გამწვავებისა, კიდევ მოსალოდნელი იყო 1894-ში, რომ დრო თავისას იზამდა და ყველასთვის სასარგებლო ეკონომიური ზედ-მოქმედება ციმბირის რკინის გზისა მშვიდობიანათ აშოვნინებდა მის საქონლისთვის თავისუფალ გასავალს გაშლილ ოკეანესკენ. ეს მით უფრო გაადვილდებოდა, რომ ციმბირის რკინის გზის მოძრაობის სისუსტე მალე ყველას დაანახვებდა, თუ რამოდენათ უსაფუძვლოა ექვი—ვითომ მას შეუძლია არსებითათ შესცვალოს შორეულ აღმოსავლეთში სხვა-და-სხვა სახემწიფოების შუა ძალის სასწორი.

საუბედუროთ, იმ ექვმა და შეწამებამ, ვი-



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა



მეც

თომ რუსეთი ციმბირის გზას ეკონომიურ და-  
ნიშნულებით კი არა, სამხედრო და პოლიტი-  
კურ მიზნით აშენებს, თავათ რუსეთზე სწო-  
რეთ იმნაირივე გავლენა იქონია, როგორიც  
ცნობილ სიტყვებს ჰქონდა: „კურტანი კურ-  
ტანზე არ დადგაო“. ციმბირის რკინის გზას  
გაშენება და დაბოლოვება რომ დასცლო-  
და იმ გეგმით, როგორითაც ის 1891-ში დაი-  
წყეს, უეჭველია მისი ნამდვილი ხასიათი და მოძ-  
რაობა ყველას თვალს აუხელდა: ზოგს ფრთას  
შეკვეცდა, ზოგს დაამშვიდებდა და ყველას აუშ-  
ფოთებლად, გონიერათ ამოქმედებდა. საქმე კი  
სულ სხვა ნაირათ დატრიალდა. იაპონიის ომმა  
ჩინეთთან გაუმადლარი მადა აუძრა დედა მიწის  
უმთავრეს სახელმწიფოებს. მიბადვით, რუსეთ-  
საც საღერღელი აეშალა.

ადვილათ მოსააზრებელია, რომ ევროპელი  
სახელმწიფოები ახალ-ახალ მხარეების და სამ-  
ფლობელოების შეძენას ცდილობენ: თავიანთ  
ქვეყანაში მათ ტევა აღარა აქვთ და მათი მრე-  
წველობა იქნამდი წარმატებულია, რომ მის ნა-  
წარმოებს შინაური ბაზარი როდილა ჰყოფნის.  
რუსეთს კი — პირიქით — მიწაც იმდენი აქვს, რომ  
რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ეყოფა შე-



სამუშავებლათ მის ხალხს, და მრეწველობაჲს  
ჯერ კიდევ აკვნიდან ვერ აუყენებია. სხვა სა-  
ხელმწიფოებს მიწა, სამუშაო მიწა, სჭირია;  
რუსეთს კი—მარტო გზა. აქედან ცხადია, რომ  
რუსეთის პოლიტიკა და მოქმედება სხვისას კი  
არ უნდა ბაძავდეს, თავის საკუთარ კვალს უნდა  
ადგეს.

იაპონიის ომის დროს ჩინეთთან, 1894-ში,  
რუსეთს—სხვისი წაბაძვის მაგიერ—თავისი შე-  
საფერი გზა რომ გამოეძებნა, მას არავითარი  
ანგარიში არა ჰქონდა ან ჩინეთს დახმარებო-  
და, ან იაპონიისთვის წინააღმდეგობა გაეწია, ან  
ვისმე გამოჰქომაგებოდა. ამ ომის დროს მას გულ-  
ხელი უნდა დაეკრიფა და გამოეცხადებინა —  
არავითარი განზრახვა არა მაქვს ჩინეთის მემკ-  
ვიდრეობაში წილი დავიდვა, ჩემიც საკმაო მაქვს,  
სხვისი არა მინდა რაო. მაშინ, უეჭვოა, ევ-  
როპის სახელმწიფოები ერთმანეთს დაექიშვე-  
ბოდნენ და დაერევოდნენ. ისინი ყველანი იაპო-  
ნიას წინააღმდეგობას გაუწევდნენ, თუ ომით  
არა, ბევრ სხვა საშუალებით. მაშინ, მთელი  
ქვეყანა ჩათრეული და ხელებ გაკავებული  
იქნებოდა ბრძოლაში (ომში მეთქი როდი ვამ-  
ბობ, ბრძოლაში) ჩინეთის მემკვირეობის გასა-





ყოფათ, რუსეთს გარდა. რამდენი ხარჯი შერჩებოდა ამით რუსეთს, რა ძალას და გავლენას შესძენდა მას ამგვარი მოქმედება ყოველგან, როგორც ევროპაში, ისე შორეულ აღმოსავლეთში, ეს ყველასთვის ცხადი და ადვილათ გასაგებია. ვინ დაუშლიდა მას მაშინ კორეის ხელუხლებლობის დაწესებას იაპონიისაგან—ესე იგი ბრაუტონის სრუტეს თავისუფლების დაცვას,—ან სპარსეთთან მეგობრულათ მორიგებას რკინის გზის გასამართავათ ინდოეთის ოკეანესკენ?

ამნაირ პოლიტიკას—რასაკვირველია—ის შედეგი მოჰყვებოდა, რომ იაპონია, ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ ინგლისთან, გერმანიასთან და ამერიკასთან, მანჯურიას დაიკავებდა, და იქნება სხვა რამე ნაწილსაც ჩინეთისას. ინგლისიც და გერმანიაც ასე თუ ისე იძლებდენ გულს. და რაც უფრო ცხადათ გამოჩნდებოდა რუსეთის უანგარობა, მით მის აღებ-მიცემობას, მისი ციმბირის ეკონომიურ ზრდას უფრო თავისუფლათ დაუმკვიდრდებოდა მფლობელობა იმ ბრაუტონის სრუტისა იაპონიას და კორეას შუა, რომელიც უკეთესს გასავალს შეადგენს იაპონიის ზღვიდან გაშლილ ოკეანეს-



კენ. გინდ ასეც არ ყოფილიყო, რუსეთს დ  
ციმბირს ოცი, ორმოცი წლის განმავლობაშიაც  
კი არ დასჭირდებოდა აუცილებლათ, მაინც-  
და-მაინც, ეს ბრაუტონის სრუტე, და ამ ხნის  
განმავლობაში ჩინეთის მემკვიდრეობაზე დავა  
და ბრძოლა ყველა სხვა სახემწიფოებს იმოდე-  
ნათ დააუძლურებდა, რომ ხელ-შეუკვრელი,  
ხელებ-თავისუფალი, ბრძოლაში ჩაუთრეველი,  
მდიდარი რუსეთი რასაც ისურვებდა, იმას აას-  
რულებდა. ამას გარდა განა ცოტა რამეა ის  
აუცილებელი შედეგიც ამ პოლიტიკისა, რომ  
400 მილიონი სული ჩინელებისა, რუსეთის მოსა-  
ზღვრე 8000 ვერსტზე, გულწრფელი და სამუ-  
დამო მეგობარი შეიქნებოდა რუსებისა, და არც  
იაპონიას ჩაუვარდებოდა გულში ის მწვაფი სი-  
ძულვილი რუსეთისა, რომელმაც ეხლანდელი  
ომი გამოიწვია...

იაპონიის ომის დროს ჩინეთთან, 1894-ში,  
შეუძლებელი იყო არ მეფიქრა, რომ სწორეთ  
ამნაირი გეგმა უნდა ჰქონდეს იმ მმართველე-  
ბის საქციელს, ვინც ციმბირის რკინის გზა  
დაიწყო. ვინ იცის, ამ გზის გაშენებაც რომ  
იმ ფინანსისტს დაცლოდა (ვიშნეგრადსკის), რო-

მელმაც მისი დაწყება ხელმწიფეს გააბედვინა, იქნება საქმე მართლა ასე წასულიყო.

ციმბირის რკინის გზის აშენება და დამთავრება სულ სხვა პირებს ხვდა. ამათ იაპონიის ომმა ჩინეთთან სულ სხვა პოლიტიკა ურჩია. წაქეზებამ „კურტანი კურტანზე არ დაადგათო“ ამ პირებს პირ-და-პირ შეატოპვინა იაპონიას და ჩინეთს შუა ატეხილ ბრძოლაში. გაიმარჯვა თუ არა იაპონიამ ჩინეთზე, გაღეწა თუ არა მან ჩინელების ჯარი და ძლიერება, რუსეთმა მას 1895-ში ულტიმატუმი გაუგზავნა: — „გაჩერდი, ჩინეთს თავი დაანებე, ნურაფერს სთხოვ, თორემ ან მე, ან შენო!“.

იმ დროს იაპონია ერთობ დაუძლურებული იყო ხანგრძლივის ომით და ჯერ კიდევ დაუმარაგებელი რუსეთთან საბრძოლველათ. ამიტომ მან რუსეთს დაუთმო და, არა თუ ბრძოლას, ნაშოვარსაც თავი დაანება.

ეს ამბავი 1895-ში მოხდა. რუსეთმა დაამყარა ჩინეთის ხელუხლებლობა: ყველამ ერთმანეთს შეეფიცათ ჩინეთს არაფერი წავართვათო.

ადვილათ წარმოსადგენია მაშინდელი რუსული გაზეთების აღტაცება ამ „გამარჯვებით“, რომელმაც ისინი იქნამდი დაათრო და გააბრუა,





რომ აღარც კი ვინმე დაფიქრებულა კითხვასზე: — „მერეო?“ „ჩვენი რაო?“

ერთი წლის შემდეგ, 1896-ში, ამ კითხვის პასუხათ აღმოჩნდა, რომ რუსეთმა იაპონიას თურმე მიტომ არ მისცა ნება ჩინეთს რამე ჩამორჩენოდეს, და სხვა სახელმწიფოებსაც იმიტომ აცნობინა ჩინეთის ხელუხლებლობა, რომ განზრახვა ჰქონდა ჩინეთის მემკვიდრეობიდან არავის არაფერი დაანებოს და თვითონ კი ჩინეთს მთელი მანჯურია ჩამოაცალოს.

სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, გამოდის: რუსეთი ისეთ პოლიტიკას დაადგა ჩინეთში, რომელიც ჩინეთთან აერთებს და აკავშირებს ყველა სახელმწიფოებს მარტო ერთი რუსეთის წინააღმდეგ.

ღირდა ამათ მანჯურია? რა საჭირო იყო მანჯურია რუსეთისთვის?

პოლიტიკოსი, ეკონომისტი, ფინანსისტი ვერ მიხვდება, რისთვის მიითვისა რუსეთმა მანჯურია, როგორ და რისთვის შეჰყო და გააბა თავი იმ მახეში, რომელიც ისე ეადვილებოდა სხვისთვის დასაგებათ. ამას ახსნის მხოლოდ ის გარემოება, რომ იმ დროს მმართველებათ რუსეთს რკინის გზის მოხვედლები ჰყავდა. გასაკ-



ვირველი როდია, რომ ამ პირებმა გამარჯვებულ იაპონიაზე „გამარჯვების“ შემდეგ, იმავე ჩვეულებებს დაადგენ შორეულ-აღმოსავლეთში და იგივე გადაწყვეტილებები მიიღეს ციმბირის რკინის-გზის შესახებ, იგივე ზომები იხმარეს, როგორც ნაჩვევი იყვნენ რუსეთის მინდვრებზე გზების გაყვანის დროს. ჩინელებს, იაპონელებს, მანჯურლებს, მათ სურვილს, უფლებას, სარგებლობას, მომავალს, იმათ სწორეთ იმოდენივე ყურადღება მიაქციეს, რამდენსაც ხახოლების, კირგიზების ან ლეკების ინტერესებს ათხოვებენ ხოლმე რკინის გზის შენების დროს.

იაპონიამ კუდი ამოიძუა თუ არა, ამ მმართველებს სხვა აღარაფერი უფიქრიათ და უანგარიშაით, გარდა იმისა, რომ „არქა, მაღე, კურტანი კურტანზე დავადგათო!“ არც აცივეს, არც აცხელეს, აღიჭურვენ რკინის-გზის მდებარე მოხელის ცოდნით და იარაღით, და მეცნიერულათ გაიშალეს წინ შორეული აღმოსავლეთის რუკა. არ მოეწონათ ზედ დანიშნული ციმბირის რკინის-გზის პირვანდელი გეგმა. მართლაც, მისი ხაზი ბაიკალს იქით სწორეთ როდი მიდიოდა, მეტათ მრუდეთ, მშვილ-



დივით ირგვლივ უვლიდა ამურის მდინარეს  
ფარგლით გაზომეს ეს მშვილდი. აღმოჩნდა —  
ბაიკალიდან ვლადივოსტოკამდე მას 2800 ვერ-  
სტი სიგრძე ჰქონდა. გაიხსენეს: აკინიკოლოზ  
პირველმა, როცა მოსკოვს რკინის გზით უერ-  
თებდა პეტერბურგს, სამართით ხაზი გაავლო  
რუქაზე და გზა ისე გააპირდაპირაო. — რისი  
გამარჯვებულები ექნებოდათ იაპონიაზე, თუ ჩვენც  
ასე არ მოვიქცეოდით? აიღეს სამართი და რუ-  
ქაზე ხაზი გაატარეს ლარივით, პირდაპირ ბაი-  
კალიდან ვლადივოსტოკამდე. ფარგლით რომ  
ეს ლარი გაზომეს, გამოვიდა, რომ მას სულ 2100  
— 2200 ვერსტზე მეტი სიგრძე არ ექნებოდა.  
ცხადია, ახალი, ლარივით პირდაპირი გზა ექვს-  
ასი ვერსტით უფრო მოკლე იქნებოდა, ვინემ  
თავდაპირველათ განზრახული. და რადგან თითო  
ვერსტის გაშენება ჯდებოდა მაშინ 60,000 მა-  
ნეთათ, ამ შემოკლებით და გაპირდაპირებით  
ხაზინა ოცდა თექვსმეტ მილიონ მანეთს მოი-  
გებდა. ხუმრობაა ამოდენა ფულის შენახვა!?  
Ура!!

ერთი პაწია დაბრკოლება ახლდა მათ ახალ  
გეგმას: გაპირდაპირებული გზა სანახევროთ რუ-  
სეთის სამფლობელოში და მეორე ნახევრით





ეროვნული  
ბიბლიოთეკა



მკ

ჩინეთის სამთავროში, მანჯურიაში, უნდა გა-  
შენებულიყო. ჩოტქში, მაშინ, არავის არ ჩა-  
უგდია რიგიანათ, რა დაჯდებოდა იმ უცხო  
ქვეყნის შეძენა, რომელშიაც გზა უნდა გაშე-  
ნებულიყო, და მერმე ამ გზის დაცვა. ამისთა-  
ნა კითხვები, რუსეთში რკინის გზების აშენე-  
ბის დროს, ხომ არავის არასოდეს არ დადგო-  
მია წინ. აქაც ეგონათ отчужденіе-ს ბრძანე-  
ბას გამოვიტანთ, полицейская опись-ს შე-  
ვადგენთ, და მერე მანჯურლები წავიდნენ, თა-  
ვი ქვას ახალონ, სუდში იჩივლონო. განა  
ბრехунъ-ები ცოტა გვყავს, ვიქირავებთ მათ  
მოსაგერებლათო.

ის გარემოება, რომ მანჯურია ჩინეთის სა-  
კუთრება იყო, იმავე ჩინეთის, რომლის не-  
прикосновенность-ი თვითონ რუსეთმა ერთის  
წლის წინეთ ბაირალათ გაიხადა და არა თუ მარტო  
იაპონიას, მთელ ქვეყანას აღიარებინა, რა მი-  
საღები იყო მხედველობაში რკინის გზის მო-  
ხელეებისაგან? — ჩინეთი ჩვენგან დავალებულია,  
აკი შარშან იაპონიის ხელიდან ვიხსენით? მაშ  
რალას დაგვიკავებსო? თუ კი, დავალებამდი,  
ამჟრის მხარეც ასე დავისაკუთრეთ, უსურის  
ქვეყანაც მუქთად შევირჩინეთ, ისე რომ ზარ-



ბაზანი კი არა, თოფიც არ დაგვიცლია მაღალ-  
დასაპყრობლათ, ეხლა ჩვენგან დავალებულებს  
რალა ხმა ამოედებათო? ნაოხრალია, შეგვრჩე-  
ბაო!

აი, როგორ მოხდა, რომ რუსეთის სამფლობელო—  
ამურის მხარე—განზე დასტოვეს, ნოვ-  
გოროდიცით ან ქუთაისივით, და გზა „прямой-  
линейно“ ბაიკალიდან ვლადივოსტოკს ლა-  
რევით დაუპირდაპირეს. მერე, როცა დაინახეს,  
რომ ვლადივოსტოკში ნავთსადგური ზამთრო-  
ბით იყინება, იმავე სამართით იმავე მანჯური-  
აზე მეორე ხაზი გააყოლეს, უყინველ ოკეანე-  
ზე ნავთსადგურისკენ, რომელსაც პორტ-არტუ-  
რი ჰქვია, და გულში სთქვეს:

— ვაი დამარცხებულს... და გამარჯვებულ-  
საცო...

მაშინ რუსეთის გაზეთებმა აღტაცებით გა-  
მოაცხადეს გაშლილ ოკეანეზე უყინარი ნავთ-  
სადგურები ვიწოდეთო, და აწი რუსეთის ბედს  
ძალლიც ვერ დაჰყეფსო!

ამ ახალის გეგმით გაშენდა და გაიხსნა ციმ-  
ბირის რკინის გზა, Великий Сибирский путь,  
და ამნაირათ იშოვნა რუსეთმა უყინარი გასა-  
ვალი გაშლილ ოკეანეზე. მაგრამ, როგორც



არც ეს რკინის გზა ჩამოგავდა თავის დანიშნულებით და მდგომარეობით იმას, რომელსაც ციმბირის რკინის გზის სახელი ერქვა 1894-ში; ისე ეს გასავალი გაშლილ ოკეანეზე — პორტ-არტური — ბრაუტონის სრუტეს მაგიერობას ვერ იზამდა. ბრაუტონის სრუტეს ერთი ნახევრის შეძენა რუსეთისგან, ინგლისის მეტს, თითქმის არავის დაჩაგრავდა. იაპონიას ამით დიდი ზარალი არც კი ექნებოდა, რადგანაც ამ სრუტეს მეორე ნაპირი ხომ მის საკუთარ მფლობელობაში არის და დარჩებოდა. რუსეთისთვის აღვილათ შესაძლებელი იყო, სამაგიეროდ, სხვა რამე შესაფერი სარგებლობა მიეცა — ან ეშოვნინებია — იაპონიისათვის. რუსეთისგან პორტ-არტურის და მანჯურიის შეძენა კი ჩინეთის კარს სრულებით უკეტდა არა მარტო იაპონიას და ინგლისს, ყველა დანარჩენ სახელმწიფოებსაც. რუსეთი პორტ-არტურში სავაჭრო საქმეს რომ ვერ გამართავდა, ამას რკინის გზის სიგრძე და სიძვირე ამხელდა. არა თუ რუსეთიდან, ბაიკალიდანაც კი არ მისცემდა ხელს საქონლის პატრონს ამ რკინის გზით რისამე ზიდვა წყნარ ოკეანესკენ. მაშასადამე, რუსეთმა პორტ-არტური იმიტომ შეიძინა და შიგ ფე-





ხი იმიტომ გაიმაგრა, რომ განხილვისას და  
შეგათ დაუდგეს ჩინეთს, და არც ჩინეთი გა-  
ხაროს, არც სხვა ვინმე შიგ ასარგებლოს. პორტ-  
არტური შორე-აღმოსავლეთის თუ არა, ჩინე-  
თის სტამბოლია. ის იმ სრუტეს ჰკეტავს, რომელიც ჩინეთის შესავალს, პეჩილის ზღვის უბეს, წყნარ ოკეანესთან აერთებს. პორტ-არტურის მფლობელის ნებადაურთველათ ჩინეთში ვერავინ შევა და ჩინეთიდან ვერავინ გამოვა. ცხადია, ამ გვარ სრუტეს რუსეთს არავინ დაუთმობდა უბრძოლველად.

სხვაც ყოველივე სწორეთ იმნაირათვე შეი-  
ცალა 1894 წლის აქეთ, როგორც ციმბირის რკინის-გზის ან წყნარ ოკეანეზე გასვლის მნიშვნელობა. მის მაგიერ, რომ ჩვენი საკუთარი სამფლობელო გაგვემდიდრებია რკინის-გზის გაშენებით, ჩვენ სხვისი გავაკეთეთ და ჩვენი დავალარიბეთ. მის მაგიერ, რომ ჩინეთის მემკვიდრეობის მოლოდინზე ყველა სხვა სახელმწიფოები ერთი მეორის წინააღმდეგ მიგვესია, და ჩვენ ამ უფოთში განზე გავმდგარიყავით, შუაგულ ბრძოლაში შევეარდით, და ყველას მუშტი ჩვენი თავისკენ მივიწვიეთ. თვით გუშინდელი ერთმანეთის სისხლის მსმელი მტ-



ქართული  
ლიბრერია

მეც

რებიც, იაპონია და ჩინეთი, არა მხოლოდ მეტა-  
რა, გააამხანაგა, დაამშობილა, დააკავშირა ამ  
ნაირმა ჩვენმა მოქმედებამ, და თითქო ეს ორი  
დაკავშირებული სახელმწიფო, 500 მილიონი  
ადამიანის პატრონი, საკმაო არ იყო ჩვენ სამ-  
ტროთ, მათ კავშირს ინგლისის, ამერიკის შტა-  
ტების და თითქმის მთელი ევროპის დახმარება  
და თანაგრძობა შესძინა...

ამ საქციელმა გამოიწვია ინგლისის კავშირი  
იაპონიასთან, რუსეთის სპარსეთში უმოქმედობა  
ინგლისის ბურებთან ომის დროს, რუსეთისგან  
მანჯურიის დაცლის მოთხოვნა სხვა და სხვა  
ევროპის და ამერიკის სახელმწიფოების მხრით,  
და, ბოლოს, იაპონიის გამოლაშქრება რუსეთ-  
ზე. მარტო ამ უკანასკნელმა ომმა აუხილა  
თვალი რუსეთის საზოგადოებას. მარტო მას  
აქეთ, რაც აღმოჩნდა ომის მძიმე ხასიათი, ეს  
საზოგადოება დაუკვირდა იმ გარემოებებს, რო-  
მლის გამოწვეულია ეხლანდელი შეტაკება.

რაკი 1895-ში იაპონიას რუსეთი გზაზე გა-  
დაედო, რაკი 1896, 1898 და 1901-ში რუ-  
სეთმა მანჯურიაში რკინის გზის შენება დაიწ-  
ყო, პორტ-არტური დაიკავა და მანჯურია დაი-  
საკუთრა, ვინ წარმოიდგენდა ამის შემდეგ,



რომ ამ რკინის-გზის ამშენებლები, ამ პორტ-  
არტურის დამკავებლები წინათვე არ იანგარა-  
შებდნენ რამოდენა ძალა — და როგორი ძალა —  
აუცილებლათ საჭირო იქნება რუსეთისთვის,  
იმ მდგომარეობის დასაცველათ, რომელიც მან  
შორეულ აღმოსავლეთში დაიკავა? ორი ათას  
სამას სამოცი ვერსტის რკინის-გზის დაცვა და  
შენახვა მტრის ქვეყანაში რამხელა ჯარს მოით-  
ხოვდა, რა დაჯდებოდა, ნუ თუ ძნელი წარ-  
მოსადგენი იყო? ამ გზის და პორტ-არტურის  
გამო იაპონია და ჩინეთი, მათი დამხმარე ინ-  
გლისით და ამერიკით რომ წინ აღგვიდგე-  
ბოდნენ, იმათ წინააღმდეგ რომელი ძალა დაგე-  
ჰირდებოდა, ესეც ნუ თუ დიდი ჰკუთს საქმე  
იყო საანგარიშებლათ? იმას ვინ წარმოიდგენ-  
და, რომ 1895-ში თავის გაჩერებას, თავის ალაგ-  
მვას, თავის გაწბილებას და შერცხვენას იაპო-  
ნია ჩვენ მუქთათ შეგვარჩენდა და მაგიერს არ  
გადაგვიხდიდა? ნუ თუ შესაძლებელი იყო ვის-  
მე ეფიქრა, რომ მმართველები, რომლებმაც  
აი ეს ახალი მიმართულება მისცენ საქმეს, არც  
რკინის გზის და პორტ-არტურის დასაცვე-  
ლათ საკმაო ძალას დაიმარაგებდნენ, არც ია-  
პონიის მოსაგერებლათ დაემზადებოდნენ, არც





ჩინეთის მომავალ ზრდას მიიღებდენ მხედველობაში, არც ევროპისა და ამერიკის ინტერესებს და წინააღმდეგობას ჩააგდებდენ ჩოთქში? არც იაპონია მალავდა თავის გამწარებას და მზადებას, არც ევროპის მწერლობა საიდუმლოებად ხდიდა იმ გარემოებიდან, რომ იაპონიასა და რუსეთს შუა დიდი შეტაკება უნდა მოხდეს მალეო. ბოლოს იაპონიისა და ინგლისის ერთმანეთთან აშკარა დაკავშირებამ ხომ ბრძმებსაც კი აუხილა თვალები. მარტო ის ჩვენი რკინისგზის მოხელეები არას ექვობდენ, არას გრძნობდენ და ანგარიშობდენ, არას ელოდენ, არც ემზადებოდენ.

იაპონია ისეთი სახელმწიფოა, რომელსაც ყველა მხრიდან ზღვა უვლის და მწყესავს. როგორც კუნძულელ ან ზღვის სახელმწიფოს, მას, თუ მოერევა ოდესმე ვინმე, მოერევა მარტო ზღვით, ზღვის ძალით, ფლოტიით. ინგლისი, აგრეთვე კუნძულელი სახელმწიფო, ბევრათ უფრო ახლოთ ახლდა ნაპოლეონ დიდს, ვინემ დღეს იაპონია რუსეთს, მაგრამ ნაპოლეონ დიდმა ვერაფერი დააკლო რა ინგლისს, თუმც მას ხელში მთელი ევროპის ძალა ჰქონდა და რუსეთიც ამ ბრძოლაში ამხანაგათ ჰყავდა. რო-



გორ დაავიწყდათ ეს მაგალითი ჩვენს მმართველებს? ვინ წარმოიდგენდა, რომ 1895-წლის შემდეგ ისინი დღე-და-ღამ სულ ფლოტის მზადებაში არ იყვნენ, იმ აუცილებელ ბრძოლისთვის, რომელიც თვითონვე გამოიწვიეს იაპონიის წინაღობაზე გამოსვლით ჩინეთის ვითომ საშველად? ვინ იფიქრებდა, რომ ამხელა რკინის გზის გამშენებლები უცხო ქვეყანაში, არც იმ რკინის გზისთვის ნახშირის მადნებს მოძებნიდნენ და დაიმარაგებდნენ, არც მის მთავარ ნავსადგურისთვის დოკებს გააკეთებდნენ გემების დასაკერებლათ, არც ფლოტისთვის ნახშირის სადგურებს დაამზადებდნენ იმ თვალ-უწვდენელ ზღვებზე, რომელიც რუსის ხომალდებმა უნდა გადაიარონ პეტერბურგიდან ან ოდესიდან პორტ-არტურამდე მისასვლელათ?

ყველა ეს წარმოუდგენელი რამ ნამდვილი გამოდგა. როცა იაპონია წრეულის დაგვეტაკა, დაუმარაგებელი დავხვდით მას შორეულ აღმოსავლეთში, უჯაროთ, უგზო-უკვლოთ, უფლოტოთ, უბლანოთ. მოგეხსენებათ, რა შედეგი მოჰყვა ამ უთავბოლობას.

საუბედუროთ, ომი, როგორც ეტყობა, დიდხანს უნდა გაგრძელდეს: არც ერთს მეომარ



შხარეს იმდენი ძალა არა აქვს, რომ მოწინააღმდეგეს შერიგების თხოვნა დააძალოს. რუსეთმა ხმელეთზე ერთიანათა ც. რომ დაუღეწოს იაპონიას ჯარი, მაინც ცოტა ხანს შემდეგ მას მეორე, მერე მესამე ჯარი ამოუვა ზღვიდან ხმელეთზე. იაპონიას 50 მილიონი ხალხი ჰყავს; მაშასადამე მას იმდენი ჯარის გამოყვანა შეუძლია, რამდენიც გერმანიას, ან საფრანგეთს. ამას გარდა იაპონიას რუსეთის მეტი მოწინააღმდეგე არავინ ჰყავს, და, ზღვის წყალობით, შეუძლია შინ ჯარი არ დაირჩინოს. ყველა თავის მეომრების გამოყვანა შეუძლია მას რუსეთის წინააღმდეგ. რუსეთს კი მეოთხედი თავის ჯარის მეტის გაგზავნა არ მოუხერხდება იაპონიის წინააღმდეგ, ამიტომ რომ მას, როგორც ევროპაში, ისე აზიაში, ერთობ გრძელი, თვალ-უწვდენელი საზღვარი აქვს ხმელეთზე, ისეთები, სადაც გარეშე მტერს აღვილათ შემოსევა შეუძლია. ამას გარდა იაპონიას სულ ორას-სამასი ვერსტი აქვს გასავლელი შინიდან ბრძოლის ველამდე. რუსეთს კი 10.000 ვერსტი აქვს გადასავლელი: სად შინ, თავისას, ბრძოლა, სად — ცხრა მთას გადაღმა!

ეს სიძნელე და სიშორეც რომ არ იყოს,






მაინც, ვიმეორებ, მარტო ზღვით, ფლოტი  
შეიძლება იაპონიის შემუსრვა და არა ხმელე-  
თით. და ფლოტი რუსეთს ჯერ საკმაო არა  
ჰყავს ამისთვის. ახალის შოვნამდი კი, რასაკვირ-  
ველია, არა ერთი და ორი წელიწადი გაივლის.

რუსეთისთვის ეს მძიმე განსაცდელი უიმედო  
როდია: ამისთანაები დამართნია მას განა? ბევ-  
რი უარესი გაჭივრებიდან გამოსულა რუსეთი,  
განახლებული, გაძლიერებული, დროებით და-  
მარცხების და დასუსტების შემდეგ. უეჭვოა,  
რომ ეხლანდელი შოლტიც მას დიდ წინმსვლე-  
ლობას მისცემს:

...Такъ тяжкій млатъ,

Дробя стекло, куетъ булатъ.

მის შინაგან საქმეებში და წეს-წყობილებაში  
ეს ომი, უეჭვოა, დიდ ცვლილებას და გაუ-  
მჯობესებას შეიტანს. ღმერთმა ჰქნას-ოლონდ,  
რომ ჩვენმა მხარემა, სრულ მონაწილეობის  
მიღებისთვის ეხლანდელ მსხვერპლში და გან-  
საცდელში, უნაკლულოთ ისარგებლოს მომა-  
ვალ წარმატებით, რომელმაც სამუდამოთ უნ-  
და იხსნას რუსეთი ამგვარ შეცდომების გან-  
მეორებისგან.





ქართული  
ბიბლიოთეკა

მეცნიერება